645
1960/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 2 თებერვალი 1960 წ.



ვერა წიგნაძე და ვახტანგ ჭაბუკიანი. დულოვის «პატარა ვალსი»

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი
№ 2 თებერვალი 1960 წელი

საბჭოთა ქალი

გამოცემის მეოთხე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



7993

ორ დღეს, 25—26 იანვარს. მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა. დელეგატთა შორის მრავლად იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის ფრონტის მოწინავე ქალები.

ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება ითვალისწინებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობასა და განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სურათზე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ყრილობის დელეგატ ქალთა ჯგუფში.

ფოტო გ. ვახტანგაძის

# XX

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი



# მისი პროექტი

სახლში, სადაც ის თავის ერთადერთ ბიჭიკოსთან ერთად ცხოვრობს, ერთი ფოტოსურათი მიიქცევს თქვენს ყურადღებას: ზღვის პირას დგას ქალიშვილი და იცინის. ზღვა ბუნდოვნად ჩანს. კენჭებით და ცარიელი სივრცით მიხვდებით, რომ ზღვაა. ქალიშვილს თეთრი კაბა აცვია და ისეთი ქუდი ჰხურავს, რომ სურათი ძველი გადაღებული უნდა იყოს, 20 წლის წინანდელი მაინც. ქალიშვილს სწორი ფეხები და ნატიფი ტანი აქვს.

მწვანე კონცხი... თინა შუბლაძე... 1937 წელი.

ამ წელს მოეწყო იგი ინსტიტუტში არქიტექტურულ ფაკულტეტზე. მხატვარი მისგან არ დადგებოდა, იცოდა. ამაზე არც უოცნებია. ხატავდა თავისთვის და მერე კარადაში ინახავდა. ამ ჩანახატებს ახლა მისი პატარა ბიჭი იყენებს—ფერებს ადებს. ბიჭს ფერთა იშვიათი შეგრძნება აქვს.

თინას მაშინ ათასი რამე იტაცებდა. არც იცოდა, რას მოკიდებდა საბოლოოდ ხელს. ტურიზმმა გააცნო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. სწავლობდა სვეტიცხოვლისა და სამთავრისის, ჯვრისა და იყალთოს ყინწვისისა და ალავერდის ხუროთმოძღვართა ხელოვნებას, ესკიზებში გადაჰქონდა მათი სივრცე და ჰაეროვნება, ქვის მშვიდი. მკაცრი ან საზეიმო განწყობილება.

1942 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. მაშინ ცოტა რამ შენდებოდა და ინსტრუმენტალურ ქარხანაში დაიწყო მუშაობა ტექნოლოგად. ომის დამთავრების შემდეგ ჯერ არქიტექტურულ სამმართველოში იყო სწავლულ მდივნად, 1947 წლიდან კი — თბილქალაქპროექტში რიგით არქიტექტორად. აქ არის დღესაც, მხოლოდ ახლა არქიტექტორთა ჯგუფის ბრიგადირია. სულ ახლახან საქართველოს არქიტექტორთა IV ყრილობაზე არქიტექტორთა კავშირის გამგეობაში შეიყვანეს.



თინა შუბლაძე (შუაში) ახალგაზრდა არქიტექტორებთან.

თინა შუბლაძე ერთერთ საუკეთესო არქიტექტორად ითვლება. როცა ლაპარაკობენ საქმისადმი სიყვარულზე, როცა ვინმეს ენერგიაზე და ენთუზიაზმზე სურთ მიუთითონ, თინას არ დაივიწყებენ. მისი მთავარი ღირსება, როგორც არქიტექტორისა, ის არის, რომ ცდილობს შენობას ყოველთვის ცხადი ფორმა მოუძებნოს, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. გადაწყვეტა ყველგან ლაკონურია და მარტივი, გაფორმება თავშეკავებული და სადა.

პირველად თანაავტორობდა არქიტექტორებთან—გ. გალდავასთან და ლ. ხარიაშვილთან—ყოფილ სასტუმრო «პალასის», ახლანდელი საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქციაზე. შემდეგ მუშაობდა დიდ ობიექტზე—სამასსაწოლიან ინფექციურ საავადმყოფოზე საბურთალოში (თანაავტორი არქიტექტორი ვ. სარქისოვი). ეს არის პირველი დიდი ქალაქი-საავადმყოფო თბილისში.

მისი დამოუკიდებელი პროექტი იყო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი კომბაინის ქუჩაზე, ჩვეულებრივი თბილისური ტიპის, მაგრამ პირველი ინდივიდუალური სახლი. ალბათ, დედობის შეგრძნობა შეედრება იმას, როცა იცი რომ შენია, შენი შექმნილი.

ერთერთი ბინის დათვალიერებისას თინას უნდოდა ეჩვენებინა ოთახების მოხერხებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებით მიღწეული ფართობის ეკონომიურობა.

— აქეთ სამზარეულოა... იმ მხარეს—ქუჩისპირა' აივანი...

დიასახლისი გაკვირვებული უყურებდა ქალს, რომელიც ასე თავისუფლად იქცეოდა მის სახლში.

— მე ამ სახლის არქიტექტორი ვარ, ამათ ბინა აინტერესებთ...

მეტის თქმა საჭირო არ იყო.

თბილისში საბინაო მშენებლობას კარგახანია საფუძვლად დაედო ტიპობრივი სექციები. ამიტომ არქიტექტორისათვის ადვილი როდია საცხოვრებელი სახლის დაპროექტების დროს ინდივიდუალური სახე შეინარჩუნოს. აქ ფასადის გადაწყვეტაში ან ბინების მოხერხებულად განლაგებაში უნდა ჩანდეს არქიტექტორის გემოვნება, უმეტეს შემთხვევაში ეს ტიპიური პროექტების მიხედვით კეთდება. თინა შუბლაძის მიერ დაპროექტებული სახლებიდან ყურადღებას იპყრობს თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს ოთხმოცდაორბინიანი სახლი შაუმიანის ქუჩაზე, რომელიც ჯერ კიდევ აშენების პროცესშია. დამთავრებულია მხოლოდ წინა საფასადო კორპუსი და ერთი ფრთის მშენებლობა. სახლი პროექტით რუსული П-ს მსგავსია. ფასადი ცივია, გლუვის შთაბეჭდილებას სტოვებს. უფრო საინტერესოა ეზოს ფასადი. მთელ პერიმეტრზე გაჭიმულია აივნებში ეროვნული ტრადიციის კვალიც ჩანს და ეზოსაც ინტიმურ განწყობილებას უქმნის.

სახლი გათვალისწინებულია მუშებისათვის. ყველა ბინა საერთო გრძელ აივანზე გამოდის. შემცირებულია კიბის უჯრედების რაოდენობა. კიბე მთელი სახლისათვის მხოლოდ სამია, და ყველა აივანს უკავშირდება. ყველა ბინას აქვს ცალკე სანიტარული კვანძი და აივანი ქუჩის პირას. ეს მუშათა საცხოვრებელი სახლი საბინაო მშენებლობის ახალი გეგმის მიხედვით შენდება. სულ მალე დამთავრდება მეორე ფრთის მშენებლობაც.

თინა შუბლაძისა და ვ. სარქისოვის პროექტით თბილისში აშენდა რამდენიმე აბანო: სამტრედიის, ლისის და კიევის ქუჩებზე, ქარხანა ცენტროლიტისათვის, ყველა—განმეორებითი პროექტით. რით იგებს ეს პროექტი? გეგმის კომპაქტურობით, ეკონომიურობით. ფასადი გადაწყვეტილია მსხვილ ტონებში, მის მკაცრ კედლებს სამი დეკორატიული პორტალი აცოცხლებს. დარბაზებში და .მოსაცდელებში იგრძნობა სივრცე და ჰაერი, რასაც მაღალი ჭერი და ორ წყებად განლაგებული საშხეფოები ჰქმნის. კიევის ქუჩაზე მამაკაცებისათვის მოწყობილია დიდი საცურაო აუზი.



თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს საცხოვრებელი სახლის პროექტი. ეზოს ფასადი.

სრულყოფილი ნაგებობაა ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტსკოლა პეტრიაშვილის ქუჩაზე. არქიტექტორი აქ მოხერხებულად იყენებს რელიეფის სხვაობას, რის ხარჯზე მოწყობილია ვესტიბიული, მის თავზე კი მაყურებელთა ტრიბუნები, საყურადღებოა ვესტიბიულის ჭერი. ტრიბუნების კიბისებური კონსტრუქციები დატოვებულია შიშვლად და ეს არქიტექტორული ელემენტი გამოყენებულია მეტი სივრცისა და ხუროთმოძღვრული გაფორმებისათვის.

დარბაზი სასიამოვნო პროპორციებისაა. სივრცეს ადიდებს მაყურებელთა ტრიბუნები, რომლებიც დარბაზისაგან ორი მრგვალი სვეტითაა გამოყოფილი, აგრეთვე ის, რომ დარბაზს არა აქვს ჭერი. სხვენის ლითონის ფერმები შიშვლადაა დატოვებული. მეორე სართულის გასწვრივ გაჭრილი ფართო და გრძელი ფანჯრები დარბაზს სინათლით ავსებს, ყველაფერი ეს ჰქმნის ჰაეროვნების განწყობილებას.

ფასადის კომპოზიცია მარტივია და მშვიდი, მისი თავისებურებაა ექვსი თაღოვანი კარი და მეორე სართულის ფანჯრები, რომლის ფართო ხვრელობები ლაზათიანადაა შეფარებული კედლის სიბრტყესთან. სპორტდარბაზის ფორმა ლაკონური და დახვეწილია.

ძნელია ჩამოითვალოს ის სამუშაობები, რაც ამ ცამეტიოდე წლის განმავლობაში შეასრულა თინა შუბლაძემ: სასწრაფო დახმარების სადგური სანაპიროზე, სკოლა-ინტერნატი ლენინის რაიონში, რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა, სახლები თბილისის თითქმის ყველა რაიონში. ახლა, შვიდსართულიან სასტუმროს პროექტზე მუშაობს, რომელიც აშენდება საბურთალოში, კომინტერნის ქუჩაზე. საბურთალოშია განხორციელებული მისი პროექტების უმრავლესობა.



ბავშვთა სპორტული სკოლის შენობის პროექტი. ფასადი.
თანაავტორი მ. კომახიძე

თითქოს ყველაფერი ამოიწურა. მაგრამ ქალის პორტრეტისათვის კიდევ რაღაც რჩება სათქმელი.

როდესაც თინას ეკითხებით რაიმეს მისი ბიოგრაფიიდან, როგორც ყველა დედა ამ შემთხვევაში, ყველაფერს თავის შვილთან აკავშირებს. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ზედმეტია, ეს არ გჭირდებათ, რადგან ნარკვევს წერთ დედაზე და არა შვილზე, მაგრამ მაინც უსმენთ, რადგან დედაა.

როდესაც გინდათ მისი ხასიათი გაიგოთ და ეკითხებით რაიმეს, გეტყვით რომ არაფერი არ აღელვებს ისე, როგორც მთა და მოგზაურობა. არქიტექტურა? ამაზე ბევრს არ ლაპარაკობს. იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანზე ცოტას ლაპარაკობენ.

**ცისანა ჟორჟოლიანი**



ფოტო ვ. უბოვენკოსი

# რა ცხოვრება...

კუსრეთში არვის გაუგია მისი დაბადება... აბა რა სიხარული იყო ღარიბი ოჯახისათვის ქალიშვილი? მამას თოფის სროლით ხალხისთვის ძილი არ დაუფრთხია. ამღვრეული დადიოდა ერთთავად. ვაჟიშვილის შეძენას ნატრობდა რახე...

... თაფლისფერთვალება გოგონა შინდის სახრით მთებში დასდევდა საქონელს. ეკლისაგან დაკაწრულ წვივებს ძლივს უფარავდა ჩითის კაბა. პატარას ძალზე მოსწონდა ცამდე აზიდული მთები, კლდეთა ქიმებზე გადამსხვრეული ჩანჩქერები, ლაჟვარდ ცაში მონავარდე არწივები. უნდოდა არწივივით მაღლა აჭრილიყო, დათოვლილ მწვერვალებს გადაჰფრენოდა, ენახა რა ხდებოდა მათ იქით. გული სწყდებოდა, როცა ბობოლას შვილს წიგნებით დაინახავდა, რომ მას არ ჰქონდა ლამაზი წიგნები და რვეულები. გულნატკენი ამხანაგებს გაეპარებოდა და ტიროდა კლდეს მოფარებული.

დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. ოსეთშიც ოქტომბრის შუქმა შემოანათა...

კარგად ახსოვს ლიზას, სახლში დაბრუნებისას მამა რომ სიცილით შეეგება.

— ახლა, შვილო, ჩვენი დრო დადგა, შემიძლია სკოლაში გატარო!

რა ბედნიერი იყო მაშინ!

ლიზა ხშირად წარმოიდგენდა მთის კალთებზე შეფენილ ოსურ აულებს, მშობლიურ სოფელს კუსრეთს. აი, მისი სახლი, თეთრ ხალათში გამოწყობილი შინ ბრუნდება. უცებ მასთან მიდიან და დახმარებას სთხოვენ—ერთადერთი მარჩენალი ძროხა სიკვდილის პირსაა. ლიზა გაჭირვებულს ეხმარება. ამაყად მიდის ორღობეში, ხალხი ამბობს: რა ყოჩაღი ქალიშვილი ჰყოლიაო რახეს... სწორედ ამიტომ გადასწყვიტა ვეტერინალურ სკოლაში შესვლა.

სტალინირის ვეტერინალური სკოლის დამთავრების შემდეგ ლიზას სამუშაოდ სოფელ მნუხში გზავნიან. მერე რაიინსპექციაში და ბოლოს ქურთაში.

სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა ლიზას სოფელში მუშაობაზე. იმედი გაუცრუვდა. სოფლელები ახლოს არ იკარებდნენ. საქონელს უმალავდნენ. მის რჩევა-დარიგებას ყურს არ უგდებდნენ. ზოგი წასვლასაც ურჩევდა.

მაშინ ძალიან ბევრი აწყენინეს ქალიშვილს. ბოლოს კი ეჭვი გაიფანტა და დასახმარებლად უხმეს.

ლიზა ბეტეევას ცხოვრებაში ის დღე სიხარულად შეიჭრა და ყველაფერი გამოსცვალა:

კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის დათვალიერების შემდეგ, დაღლილი შინ ბრუნდებოდა. გუჩმაზოვების სახლს რომ მიუახლოვდა, შენიშნა, ხალხი ერთ ადგილას შექუჩებულიყო და რაღაცას დაჟინებით მისჩერებოდა. ლიზა სწრაფად მიიჭრა მათთან. ოჯახის უფროსს ვეება ხარი წამოექცია და პირალესილ დანას უმიზნებდა. ქალიშვილმა მუდარით შეაჩერა მამაკაცი და სთხოვა მიეშვა ხართან. ხალხმა გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩა, ოჯახის უფროსი ხან ლიზას უყურებდა, ხან დასაკლავად განწირულ ხარს. ბოლოს ზანტად წამოდგა ზეზე და ქალიშვილს დაუთმო ადგილი.

ლიზამ გულდასმით გასინჯა პირუტყვი და სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა. რამდენიმე საათის შემდეგ ხარი მადიანად შეექცეოდა თივას.

ის დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა ლიზას და განა მარტო მას? მთელ სოფელს! ამიერიდან წამდაუწუმ უხმობდნენ საშველად. ისიც ხალისით ასრულებდა მათ თხოვნას.

20 წლის მინძილზე მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა, ხშირად რთულ ოპერაციებსაც აკეთებს.

ლიზა ბეტეევა თორმეტ სოფელს ემსახურება. მის სოფლებში პირუტყვის ინფექციურ დაავადებებს თითქმის ვერ შეხვდებით.

მოულოდნელად კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში ოცი ძროხა გახდა ავად. დღე და ღამე მკურნალობდა ძროხებს ლიზა და ყველა გადაარჩინა, რითაც კოლმეურნეობამ 50.000 მანეთის ზარალი აიცდინა თავიდან.

ლიზა ბეტეევას ხალხის უამრავ მადლობასთან ერთად მთავრობის მედლები და სიგელები აქვს მიღებული.

1956 და 1958 წლებში იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო.

შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების განხორციელების საქმეში მასაც შეაქვს თავისი წვლილი—პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა ხომ მასზეც არის დამოკიდებული.

გაიზარდა და დამშვენდა ოსური სოფელი ქურთა. ხალხი მიწურებიდან ამოვიდა. ახლა თითქმის ყველას ორსართულიანი სახლი უდგას. სინათლისა და რადიოს ხაზებმა სოფელი დაქსელეს. როგორც ყველგან, აქაც აქვთ კინო, კლუბი, სამკითხველო. ოთხიოდე ათეული წლის წინ სოფელში მხოლოდ ერთი იყო წერა-კითხვის მცოდნე, ახლა კი ყველა ახალგაზრდა საშუალო განათლების მქონეა და არც არავის წყდება გული წიგნებსა და რვეულებზე. ეს იყო ადრე, ძველ დროში, როცა ლიზა პატარა იყო.

თ. შათირიშვილი

## [illegible]

საღამოა... თბილისში უჩვეულოდ ჭინავს. სახლის საკვამურებიდან რუხი ბოლი ზლაზვნით ამოდის და ჩამუქებულ ღრუბლებში წვება.

უკვე 8 საათს გადასცილდა. ელიან ოჯახში... იგვიანებს... ჯავრობენ, თავს არ უფრთხილდებაო სრულიად... მართალნიც არიან.

ქუჩაში წყნარად მოაბიჯებს თამარი და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, თავის პატარებზე ფიქრობს...

თბილისის პირველ სკოლა-ინტერნატში ბევრი ბავშვია. საკუთარი შვილების გარდა თამარს მათთვისაც ულევი აქვს სითბო, საალერსო სიტყვა, სასარგებლო რჩევა... მან კარგად იცის ადამიანის ფასი, უყვარს და უფრთხილდება მას... აი, გუშინ კედელი დაეჯღაბნათ. ის არავის ტუქსავს, მაღალი ხმით არ ამბობს სიტყვას, იღებს ჩვარს და თვითონ წმენდს... შერცხვება ონავარს... ჩაფიქრდება, აღარ გაიმეორებს...

ხვალ დაბადების დღე აქვთ ერთი შავთვალა ბიჭის. იცის დეიდა თამარმა, როგორი ფაქიზი სული აქვთ ბავშვებს... მცირედი ყურადღება ახარებთ, მცირედ წყენას გამოჰყავთ წონასწორობიდან... ბავშვები ყოველთვის მოუთმენლად ელიან დაბადების დღეს... ელიან რაღაც ახალს, ჯერ განუცდელს.

გრძნობს ამას თმაჭაღარა პედაგოგი და წყნარად მიაბიჯებს გაყინულ ქუჩაში. ხვალ მხიარულად გაატარებენ საღამოს შავთვალა ბიჭის დაბადების დღეს... იქ იქნებიან მეგობრები და აღმზრდელები, თვითონ მან ხომ ყოველი მათგანის არა მარტო გვარი და სახელი, ოჯახური მდგომარეობა და გონებრივი მონაცემებიც იცის...

პატარების ტკივილი მისი ტკივილიც არის. მათ მომავალზე ფიქრობს, გულთან მიაქვს ყოველი წარმატება. მეშვიდეკლასელ ანდრო თალაკვაძეს უყვარს მშობლიური ენა და ლიტერატურა, მის ამხანაგს ამირან ამელოვს ისტორია ყველა საგანს ურჩევნია, ხოლო მეხუთეკლასელი დარეჯან ჯინჭარაძე დიდ იმედებს იძლევა მუსიკაში... ყველას დახმარებას ასწრებს. პატარები დაიზრდებიან, ცხოვრებაში საკუთარ გზას აირჩევენ და მას სურს ეს გზა სწორი და ნათელი იყოს... შეუმცდარი და ინტერესით სავსე.

როგორ უხარია თამარს, როცა ნორჩები გაუმართლებენ იმედს. ქართულ საკრავთა ორკესტრი, ცეკვისა [illegible] ღერის წრეები მისი უშუალო ინიციატივით შეიქმნა. პა[illegible] სკოლა, აღმზრდელები, [illegible]

...კახეთში ოცი წელი იშრომა თამარ ქურციკიძემ. მრავალი სიძნელე და დაბრკოლება შეხვდა. პარტიაში შევიდა... ხალხის რჩეული იყო სამგზის. მხოლოდ შრომამ ასახელა, საკუთარმა გულისხმიერებამ და ადამიანის სიყვარულმა.

ახლა? ორი ოჯახი აქვს თმაშეთოვლილს, და ათასი საზრუნავი... რომ ჰკითხოთ საკუთარ ღვაწლზე, ვერას გეტყვით, მხოლოდ სანდომიანად გაგიღიმებთ. შეიძლება ორიოდე სიტყვით გითხრათ მისი გამოცდილების შესახებ. უყვარდა თავისი საქმე, შრომობდა... ახლაც ასეა.

უკვე შვილიშვილები ჰყავს, უფროსი მხოლოდ ხუთი წლისაა, ისიც თამარია. თინათინი და ნათელა სულ პატარები არიან. ახლა მათთან ბრუნდება, თავის ცელქებთან. ბავშვები სამსახურშიც, სახლშიც! არასოდეს სწყინდება მათთან. ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით.

მიდიან დღეები, მოუსვენარი დღეები. კვლავ ახალგაზრდული ენერგიითაა სავსე, გრძნობს: სიცოცხლეს ახლა მეტი აქვს ლაზათი და ჯერ შორსაა სიბერე.

იზოლდა ორჯონიკიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედელვეისი

ოთარ გობრონიძე

მხატვარი ლ. შენგელია

მოთხრობა

— ჟან, გძინავს?
— ჰო, მძინავს.
— არც მე მეძინება. იცი რაზე ვფიქრობ, ჟან?
— არ ვიცი.
— ხვალინდელ დღეზე, მწვერვალი უკარება ჩანს.
— დაიძინე და ყველაფერი კარგად იქნება...

ჟანი საძილე ტომარაში შეინძრა, ეტყობა მეორე მხარეს გადატრიალდა.

— ჟან!
— რა?
— სულ აღარ გიყვარვარ, ჟან?
— მიყვარხარ, მარი. შენ ხომ ლიზის და ხარ, მე შენი სიძე. როგორ არ მიყვარხარ. იცი, მარი, ლიზიმ ყელსახვევი გამომატანა მწვერვალზე უნდა დავტოვო.
— ო...—კვნესის მარი,—გახსოვს, ჟან, ედელვეისები? მაშინ არ იცოდი ვინ იყო ლიზი. ასე ვიწექით კარავში მაშინაც, ეს იყო ალპებში, მონტეროზას მისადგომებთან. მე მეძინებოდა. შენ არ მაძინებდი და მელაპარაკებოდი. მე ყურს გიგდებდი, იმიტომ რომ ძალიან მიყვარდი. შენ მითხარი:
— იცი, მარი, აქ უკვე იქნება ედელვეისები, გინდა მოგიტან პატარა თაიგულს?.

მე საძილე ტომრიდან ხელი ამოვაძვრინე, თმა მოგქაჩე და გითხარი:
— სულელო ბიჭო, დაიძინე...

შენ აღარაფერი გითქვამს. მე მეძინა. სიზმარში შენ გხედავდი... დილით, როდესაც ბანაკი აიშალა და ჩვენც ავდექით, თავთან ედელვეისების პატარა თაიგული მედო. შენ კი ხელები გქონდა დაკაწრული, ფრჩხილებზე სისხლი შეგხმობოდა.

ძალიან გიყვარდი, ჟან...

ცრემლები გადმომცვივდა დიდი სიხარულისაგან, ვტიროდი, ბედნიერებმა რომ იციან ხოლმე ისე. ეჰ... ეს იყო არც თუ ისე დიდიხნის წინათ, ალპებში, მონტეროზას მისადგომებთან. არა, ჟან? ჟან გძინავს?
— არა, მარი...
— გახსოვს პტი-დრიუ, ჟან? ტრავერსის წინ მე ფეხი ვიტკინე. შენ არ გინდოდა ჩემი დატოვება. მე არ ვქენი. წასვლის წინ ყელსახვევი გამომართვი და კისერზე გაიკეთე. ძნელი იყო ტრავერსი. მაშინ დაგვეღუპა რობერი, ჩვენი «მთის ლომი,» ფილიპი მძიმედ დაშავდა. დაბრუნებულმა მითხარი:
— შენს ყელსახვევს მივყავდი ზევით. შენმა ყელსახვევმა გამომიყვანა უვნებელი.
— გახსოვს? შენ აღარაფერი აღარ გახსოვს. ჟან, მე კი ისიც მახსოვს, საბედისწერო საღამო...

«ალპია» ექსპედიციის დამთავრებასთან დაკავშირებით დარბაზობას გვიმართავდა. მე ჩემს ოთახში სარკის წინ ვტრიალებდი და ვერ გადამეწყვიტა, რომელი კაბა ჩამეცვა.

ბუდუარში ლიზი შემოვიდა. ლიზიმ მირჩია ჩამეცვა შინდისფერი კაბა თეთრი წინწკლებით, შენს სიდამწვრეს მოუხდებაო მითხრა. კაბა მართლა ძალიან მომიხდა. მადლობის გრძნობით შევხედე ლიზის. ლიზი იდგა თვალებგაბრწყინებული და იყო ძალიან ლამაზი. ვუყურებდი და თვალს არ ვუჯერებდი, დაქალებულიყო ჩემი პატარა დაიკო, ტანი აეყარა, მკერდი შევსებოდა. ძალიან მომინდა ჩემთან ერთად ყოფილიყო ლიზი საღამოზე, ალბათ იმიტომ, რომ ლიზი იყო ძალიან ლამაზი და მე შენი მჯეროდა.

«ალპიას» წინ მანქანები ირეოდა. უკვე მოსულიყვნენ მეცენატები, კლუბის მმართველობა და წევრები. კარებთან შენ დაგვხვდი. შავი კოსტუმი გეცვა, ის ჰალსტუხი გაგეკეთებინა, მე რომ გიყიდე დაბადების დღეს. მე გაგაცანი ლიზი. ლიზი გაწითლდა. მე შენ შემოგხედე. გულში ტკივილი ვიგრძენი. ვინანე, არ უნდა წამომეყვანა ლიზი...

— გეყოფა, მარი, რა საჭიროა ძველის გახსენება...
— საჭიროა, ჟან, იმიტომ, რომ შენ აღარაფერი გახსოვს, მე კი არაფერი დამვიწყებია, უმნიშვნელო წვრილმანიც კი...

იმ საღამოს ლიზის არ მოშორებიხარ. იმასთან ცეკვავდი. ჩემი არსებობა ორივეს დაგავიწყდათ. მე ფიქრის ნებას არ ვაძლევდი თავს. ვიცინოდი, ვსვამდი ბორდოს და შამპანურს, ღიმილით ვლებულობდი დიდმუცლიანი მეცენატების ქათინაურებს. თქვენ კი ცეკვავდით. ერთმანეთის მეტი არავინ გახსოვდათ და ვერც ვერავის ამჩნევდით. მერე დარბაზიდან გაუჩინარდით...

კლუბიდან წამოვედი მარტო. იყო ღამე. ცაზე უზარმაზარი მთვარე მიცურავდა, ძალიან ყვითელი და ძალიან სევდიანი. ჩემი სულივით დაცარიელებულიყო მონ-მარტრი, იგი უზარმაზარ სასაფლაოს ჰგავდა, მე —ჭირისუფალს, რომელმაც ეხლახან მიატოვა ძვირფასი ადამიანის საფლავი, ვგავდი ადამიანს, რომელმაც ყველაფერი დაკარგა. რა გავაკეთო? სად წავიდე? ვფიქრობდი და წინ ვერაფერს ვხედავდი, თითქოს ყველა გზა გადაეკეტათ ჩემთვის. არ მახსოვს როგორ მივედი სახლში. მახსოვს იყო გვიანი და არ იყო სახლში ლიზი. დავწექი და ცრემლებს თავისუფლება მივეცი...

ლიზი მოვიდა გათენებისას...

დაიწყო საშინელი დღეები. არ მეგონა, თუ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც იმედის ნაპერწკალს მაინც შეიტანდა ჩემს ცხოვრებაში, ყველგან შენს თვალებს ვხედავდი, შენი თმის სურნელს ვგრძნობდი, ყურში კი შენი ჩურჩული მესმოდა.

— იცი, მარი, აქ უკვე იქნება ედელვეისები, გინდა მოგიტან პატარა თაიგულს?

მერე დაკაწრული ხელები, ფრჩხილებზე შემხმარი სისხლი და მწარე შეგრძნება, რომ ისინი მე აღარ მეკუთვნოდა.

შენ და ლიზი ყოველდღე ხვდებოდით ერთმანეთს...

მეც ვხვდებოდი ყოველდღე ღამის კაბარეებში, მაგრამ არ ვიცი ვის, რადგან ყოველდღე სხვადასხვანი იყვნენ, ღვინითა და კონიაკით გაბრუებული გაშტერებული მივჩერებოდი ჩემს ღამის მეგზურს და შენ გხედავდი...

ჩემს ამბავს ერთი ადამიანი განიცდიდა მხოლოდ, ეს იყო კეთილი ფილიპი. იცოდა ჩემი დაცემის მიზეზი და მამშვიდებდა:
— ყველაფრის წამალი დროა, მარი, დრო გაგკურნავს, სხვა მკურნალი ამჟამად უძლურია შენთან. ცხოვრება თავისას მოითხოვს. ერთი თვის შემდეგ რომ გაგახსენდება ცრემლს დაღვრი, ერთი წლის შემდეგ გული დაგწყდება და მწარედ ამოიოხრებ, ათი წლის შემდეგ კი ყველაფერი სიზმარივით გაგახსენდება. დამიჯერე, მარი, ადამიანი ასე ყოფილა გაჩენილი. ბუნება თავისას მოითხოვს და შენც უნდა დამორჩილდე, რადგან უკან მოსახედავად დრო არ გვრჩება. ყველაფერი ისე რომ იყოს ქვეყანაზე სენტიმენტალურ რომანებში რომ სწერია, საცოდავი იქნებოდა ცხოვრება...

შენ და ლიზიმ ჯვარი დაიწერეთ...
— მარი!
— არა, ჟან, მეტს არაფერს გაგახსენებ. შენ მართალი ხარ, რა საჭიროა ძველის გახსენება, რად ღირს ამბავი, რომელიც დრომ გაცვითა. არაფრად. გმადლობთ, ჟან, ყურს რომ მიგდებდი, მე არ მეძინება და ლაპარაკი მინდა.

— ხვალ გაგიჭირდება, მარი.
— არ გამიჭირდება, მე ეხლა ისეთ ძალას ვგრძნობ, როგორც არასდროს...—ისინი ლაპარაკობდნენ ჩუმად, რადგან კარავში სხვებსაც ეძინათ. მარის ლაპარაკი უნდოდა, ამიტომ არ ასვენებდა ჟანს.
— ჟან!
— რა გინდა, მარი?
— ნუ დაიძინებ რა! იცი, მე ძალიან მომწონს ჩვენი სტუმრები. ჩეფხანი მთიელი ყოფილა. ამიტომ არის მთასავით მაღალი. თემური თბი-




ლისელია. იცი, ჟან, ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. თემურმა შესანიშნავად იცის ფრანგული და მოსწონს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ არ მოსწონს იმპრესიონისტები, გუშინ მთელი დღე ვიკამათეთ...

— კარგები არიან!—გამოცოცხლდა ჟანი საუბრის თემა რომ შეიცვალა,—იცი რა, მომავალ წელს საქართველოში მოგვიწევს, უშბაზე...

— გაისად?

— ჰო, გაისად.

— უშბა და ჩეფხანი ალბათ ერთმანეთს ჰგვანან...

— ჩეფხანი უშბის ძირში ცხოვრობს თურმე.

— ჟან, როგორ ფიქრობ, ავალთ? ათასორასმეტრიანი კედელი არსად შეგვხვედრია.

— ავალთ თუ ამინდი იქნება. ფილიპი ორჯერ არის ნამყოფი მწვერვალზე. ეს ქართველებიც მარჯვე ბიჭები ჩანან.

— არ გეშინია, ჟან?

— დაიძინე, მარი, საცაა გათენდება.

— კარგი, ჟან...

ჟანი ისევ გადატრიალდა. მარი შესცქეროდა კარვის ჭერს. ჟანს უკვე ეძინა. მარი ფიქრობდა. გარეთ, თითქოს ცას წვდებაო გრანდ-ჟორასის ათასორასმეტრიანი კედელი.

* * *

მე და თემური ვზივართ «თბილისის» კაფეში. მაგიდაზე გვიდგას ერთი ბოთლი შამპანური და ნუშის ლიქიორი.

დღის ორი საათია...

კაფეში ჩვენს გარდა კიდევ ერთი მაგიდაა დაკავებული... დარბაზის მეორე ბოლოში უცხოელი ტურისტები სხედან, «წინანდალს» სვამენ, თან ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, ქართველებმა რომ ვიცით უცხო ქალაქში თავმოყრისას. თვალქუჩუნა, პერეჰიდროლით თმაშეღებილ ოფიციანტებს საქმე არა აქვთ, დიდი პალმის ძირში დამდგარან და უცხოელ ტურისტებს უჭვრეტენ... თემური ახალი ჩამოსულია მთიდან და აქვს სპილენძის ფერი. ტუჩებზე არ მოშუშებია ნასკდომები. უხდება სპილენძის ფერი და ახლად შეკერილი თეთრი კოსტუმი.

— აჰა, თუ ძმა ხარ, შენ გახსენი. ნერვები მეშლება ხოლმე ფრჩხილებს რომ ვუსვამ,—მეუბნება თემური და «ყაზბეგის» კოლოფს მაწოდებს... მე და თემურს გვიყვარს ამ კაფეში ჯდომა. ზაფხული რომ მიილევა, თემური ალპინისტურ ექსპედიციიდან ბრუნდება, მე—მთიდან. კაფეში ამ დროს არავინ არ არის და ჩვენც ამ დროს მოვდივართ, რომ ბევრი რამ ვუთხრათ ერთმანეთს.

— შენი ნერვები რაღაც არ მახსოვს, დინჯი იყავი «უნერვოს» გეძახდი, გახსოვს, მაშინ...

— ცუდი მახსოვრობა გქონია თუ მეტი არაფერი გახსოვს, მე და თემური ბავშვობის მეგობრები ვართ. ვცხოვრობდით ერთ სახლში და მოკლე ტრუსებში დავრბოდით ქუჩაში. ვთამაშობდით ნაჭრის ბურთით, უბანში ყველას ვუგებდით კოჭებს, ზოგჯერ ვჩხუბობდით და ერთი დღე ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. სკოლა ისე დავამთავრეთ ერთ მერხზე ვისხედით. მახსოვს სიმწიფის ატესტატი რომ მივიღეთ მშობლებმა ახალი კოსტუმები შეგვიკერეს. ამაყად მივაბიჯებდით ქუჩაში და ვგრძნობდით, რომ აღარ ვიყავით ბავშვები. ვიყიდეთ პაპიროსი და თავისუფლად გავაბოლეთ. თავი გვატკინა პაპიროსმა, იმ დღიდან თემურს აღარ მოუწევია პაპიროსი.

უნივერსიტეტში გეოლოგიურზე ვსწავლობდით. თემური უცხო ენებითა და ალპინიზმით იყო გატაცებული, მე ქართული ცეკვებით. ზაფხულში თემური ალპინისტურ ექსპედიციებში მიდიოდა, მე მოცეკვავეთა გუნდს მივყვებოდი გასტროლებზე. უნივერსიტეტი დავამთავრეთ. მე მთაში გამიშვეს სამუშაოდ გეოლოგიურ პარტიაში, თემური სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დატოვეს. თემური ყოველ ზაფხულს დადიოდა ალპინისტურ ექსპედიციებში.

წელს სხვა უძლიერეს ალპინისტებთან ერთად თემური საფრანგეთის ალპებში მიიწვიეს...

ახლა ზაფხულის უკანასკნელი კვირაა, ჩვენ კაფეში ვზივართ.

გახსნილ კოლოფს ვაწოდებ. თემური პაპიროსს იღებს, კარგახანს

უსრისავს თავს, ჰილზს ნერვიულად ჭყლიტავს ორ ადგილას და პირში იჩრის.

— «რად ღირს ამბავი, რომელიც დრომ გაცვითა». კარგი სიტყვებია თემურ. მე უკვე მომწონს ფრანგი ქალი. შესახედად როგორია?

—ტიპიური ფრანგი, ჟურნალებში რომ გვინახავს. ახლაც თვალწინ მიდგას: გამხდარი, საოცრად ლამაზი თვალებით, მის სახეზე ერთდროულად იგრძნობოდა საოცარი ქალური სინაზე და ისეთი სიმტკიცე, ვაჟკაცსაც რომ დაამშვენებდა. ხმა ჰქონდა ხავერდოვანი, საამო და მომხიბლავი. მუსიკას ჰგავდა მისი ლაპარაკი, ორკესტრს, სადაც ყველა ინსტრუმენტი ერთნაირი სიძლიერით როდი ჟღერს.

—ჟანი?

—ჟანიც ფრანგია, მხოლოდ სიტყვაძუნწი.

—ჰე, დრო ბევრ რამეს ნიშნავს თემურ. დროს არაფერი არ უდგება წინ, მითუმეტეს გრძნობა. გრძნობა ფაქიზია, ამიტომ ცვდება ადრე.

—შენ ასე გგონია?

—გარწმუნებ.

—ტყუილად მარწმუნებ,—თემური მალიმალ ქაჩავს პაპიროს. მე მიკვირს, როდის დაიწყო თემურმა პაპიროსის წევა.

—ედელვეისი გინახავს?—მეკითხება თემური და უცნაურად მიყურებს.

—არა. გამიგონია კი...

* * *

ალპების დასავლეთ ნაწილს მთასვლელთა სასაფლაოს ეძახიან. ურთულესად მაინც მონბლანი ითვლება თავისი მრავალრიცხოვანი მწვერვალებითა და ძნელად მისადგომი გზებით.

გრანდ-ჟორასი მონბლანის სამხრეთი მწვერვალია, მკაცრი და უკარება, ათასორასმეტრიანი გრანიტის კედელი ცაში აწვდილ ვეებერთელა ისარს ჰგავს.

მარშრუტი იყო ძნელი და სახიფათო. არსად ნაპრალი პალოების დასამაგრებლად, შვერილებზე თოკის გამობმით ხდებოდა შესაძლებელი წინსვლა. ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი ჩამოქცეული ლოდების ზვავი...

ჩეფხანი და ფილიპი მიდიოდნენ წინ. ჩეფხანის ოსტატობას ფრანგები აღტაცებაში მოჰყავდა. უშბის ძირში გაზრდილი, ჯიქივით მიცოცავდა პიტალოზე. შესვენებისას ფრანგები ჩეფხანზე ლაპარაკობდნენ, ჰილარისა და ტენცინგს ადარებდნენ, თან უწინასწარმეტყველებდნენ დიდ მომავალს. ჩეფხანს თუმცა მათი ლაპარაკის არაფერი გაეგებოდა, ძალიან მოსწონდა გულღია, ენაწყლიანი ფრანგები, განსაკუთრებით კი ფილიპს დაუმეგობრდა.

ჩეფხანი ქართულად ელაპარაკებოდა, ზოგჯერ რუსულ სიტყვებსაც იშველიებდა, უფრო ხშირად კი ხელებს. არავინ იცოდა ესმოდათ თუ არა ერთმანეთის, ეს კია, გულიანად იცინოდნენ ხოლმე, მათი სიცილი სხვებსაც ედებოდა. მერე კლდეები და ნაპრალები აჯავრებდნენ კარგახანს, ფილიპი სიცილით გულს რომ იჯერებდა, ბეჭებზე დაარტყამდა ხოლმე ხელს ჩეფხანს.

— Bon Céorgien,—ეტყოდა.

— რაო რას მეუბნება?

კარგი ქართველი ხარო.

— შენც კარგი ხარ-თქო უთხარი. მართლა კარგია, ძალიან შემიყვარდა...

მერე სიწყნარეს ადამიანის სუნთქვა და ხვნეშა არღვევდა, ისინი კლდეს აკრულები, მის დასამორჩილებლად მიიწევდნენ სულ ზევით...

მარი და ჟანი ერთ ბმულში იყვნენ, ჟანი თოკის სიგრძეზე მიჰყვებოდა.

მარის შვერილზე ასვლა გაუჭირდა, ფეხი ვერ მოიკიდა კლდეზე.

— ფრთხილად, დაბლა უფსკრულია!—დაუყვირა ჟანმა.

— ვერ ვხედავ, ძალიან ღრმაა.

ჟანმა თოკი მოქაჩა, მარი როგორც იქნა შვერილზე დადგა, უცებ შეირხა, თითქოს ქარმა დაუბერა და გადაგდებას უპირებსო. თვალის გუგები გაუფართოვდა, ფერი დაჰკარგა.

— რა მოგდის მარი, ფრთხილად.

— შეხედე, ჟან, შეხედე...—მიმქრალი ხმით დაიჩურჩულა მარიმ და ხელი გაიშვირა.

ერთ ადგილას ფართე ნაპრალი კლდეს მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა. იქითა კედელზე თეთრი, ხავერდოვანი ყვავილები ამოსულიყვნენ.

— ედელვეისი!—სთქვა ჟანმა.

—ედელვეისი,—გაიმეორა მარიმ. ედელვეისი იშვიათი ყვავილია. ედელვეისი ვაჟკაცობისა და სიყვარულის სიმბოლო—ასე ახლოს იყო, ერთი ხელის გაწვდენაზე. ორ კედელს შორის უფსკრული იყო, ისიც ერთი ხელის გაწვდენაზე. ჟანი ცალ ფეხზე დაებჯინა, მეორე წინ წასწია, უფსკრულისკენ გადიახარა, წაეპოტინა ყვავილებს, ნუნებმა იგრძნეს ხავერდოვანი ყვავილების სილბილე.

«მოწყვიტავს... ვერ მოწყვიტავს...თუ მოწყვიტავს, მე მომცემს... ლიზის წაულებს... ვერ მოწყვიტავს.»—ფიქრობდა მარი.

— ცოტა ახლოს რომ ყოფილიყო...—გულდაწყვეტილი გასწორდა ჟანი.

მარი იცინოდა. მის სახეს ფერი დაზრუნებოდა. ენერგიულად მიჰყვებოდა ზედა შვერილიდან ფილიპის მიერ ჩამოშვებულ თოკს...

ედელვეისი და ღრუბლები დაბლა დარჩნენ, ზევით მოჩანდა ნაცრისფერი მწვერვალი და ლურჯი ცა. უკანასკნელ შვერილთან უკანასკნელი შესვენება მოხდა. მარი მხიარულობდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, იცინოდა.

— მუსიო თემურ! შეხედეთ! მოგწონთ?

— ძალიან.

ცა მართლა ლამაზი იყო. ფერები ერთმანეთში ილვრებოდა, თითქოს ერთნაირი, ძალიან სხვადასხვა...

მარშრუტი სულ უფრო ძნელი გახდა: მომდევნო შვერილი რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე იყო, ვინ გაბედავდა ხელის გულივით სრიალა, დაკიდებულ კლდეზე ასვლას და თოკის გამობმას...

ფრანგები ხმამაღლა კამათობდნენ, ყველა თავის ვარიანტს აყენებდა და ასაბუთებდა, როგორც ყველაზე მიზანშეწონილს. ჩეფხანმა ამასობაში ტვირთი მოიხსნა მხრიდან, რკინით მოჭედილი მძიმე ფეხსაცმელი გაიხადა და შარვლის ტოტები აიკაპიწა, ფრანგები გაოცებული მისჩერებოდნენ.

უშბის ძირში გაზრდილი ჩრდილივით აეკრა კლდეს. დაბლა უფსკრული სადღაც თვალს იქით იკარგებოდა. ჩეფხანს კბილებით თოკი ეჭირა. თითქოს კლდე ჩეფხანს იზიდავდა და ჩეფხანი კლდეს. ფილიპი პირდაღებული შესცქეროდა, სათქმელი პირზე შეშრობდა, გამომეტყველებაზე ეტყობოდა მოჩვენება რომ ეგონა. ჩეფხანი კი სულ ზევით მიიწევდა. ცოტაც და შვერილს შემოეხვია. გულში ჩაიკრა და ზედ შემოევლო. ჩამოშვებულმა თოკმა გამოაფხიზლა ფილიპი.

— Bon Cèorgien!—დაიძახა მან და თოკს აჰყვა...

გრანდ-ჟორასის მწვერვალი ადამიანებმა გათელეს.

— მომილოცავს, მარი, ასეთი რთული მწვერვალი ჩვენთვის პირველია.

— ავმაღლდით, ჟან, როგორ ავმაღლდით! ასეთ სიმაღლეზე ყველა ცოდვილი ჩვილი ბავშვივით უბიწოა.

ზემოდ მოჩანდა ლურჯი ცა...

ჟანმა, ენდროსფერი ყელსახვევი შემოიხსნა, თხელი ქსოვილი ქარმა ააფრიალა. მარიმ გულზე იტაცა ხელი, ენდროსფერ ყელსახვევს ქარი აფრიალებდა...

მარი მწვერვალის კიდისკენ მიიწევდა. ჟანი უყურებდა მოფრიალე ყელსახვევს და მიჰყვებოდა თოკს.

— ქვემოთ ცოცხალი ყვავილებია, ლამაზი ყვავილები, ამბობენ, მათ სიყვარული მოაქვთო,—ამბობდა მარი.

ენდროსფერ ყელსახვევს ქარი აფრიალებდა.

მარი უფსკრულის პირას იდგა, ხელიდან გამხმარი ედელვეისების ღეროები სცვიოდა.

— წავიდეთ, ჟან, წავიდეთ! იქ ცოცხალი ედელვეისებია...

წელზე მობმული თოკი ლარივით დაიჭიმა.

— მარი!!

თითებმა სცადა სხეულის გადარჩენა.

— მა...

და ყველაფერი მიწყნარდა.

გაოგნებული იდგნენ მთასვლელები და ვერ გაეგოთ რა მოხდა. მხოლოდ ფილიპი იდგა ქუდმოხდილი და იცრემლებოდა.

— წაიყვანა. ახლა სულ ერთად იქნებიან, ვეღარაფერი დააშორებს მათ...

ცოტახნის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, მწვერვალს ორი ადამიანი აკლდა... ენდროსფერ ყელსახვევს და გამხმარ ედელვეისების ღეროებს ქარი თავის ნებაზე ათამაშებდა.

* * *

კაფეში ბევრი ხალხია. აღარცერთი მაგიდა აღარ არის თავისუფალი, ოფიციანტებს მოცლა არა აქვთ, მაგიდებს შორის დაქრიან ხონჩებით. უცხოელები წასულან. მე და თემური ისევ ვზივართ.

თემური აბოლებს.

საათის ისარი ექვსს აჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გიგაური

## ხევსურის ქალას

აგჭრელებია მკერდი მძივებით,
მკერდი ღილებით აგჭრელებია,
გეფერებიან ლურჯი იები
ლურჯ თვალებსაც და გიშრის თმებიანს.

და როცა, ქალავ, კლდის ქიმზე დგეხარ,
შენს ფიქრებს ჩემი ფიქრნიც ერთვიან,
დედივა,
მზია,
ლელა,
თუ მზექალ,
კარგი ხარ, ვინ ხარ ეს სულ ერთია.

შენ ოცნებაში საქართველოს ლამაზავ,
გული ყველა დარდს გამკლავებია,
ვარსკვლავიანი ცაცვია ცაზე
და ლურჯ თვალებშიც ვარსკვლავებია...



## ჩემი ოცნების თანაზიარო

შენ სხვაზე მეტად გაშინჯე მთიელს,
ერთად გაწევა ვიწროეთ უღლის,
შენით კლდიანი ბილიკი ვძლიე,
არ დავცემულვარ ქარაფზე მუხლით,
მე შენს სიყვარულს გავუღე კარი,
ვიგრძენი ძალა დავაქვაცების,
ცხოვრებას ვუცქერ სხვაგვარი თვალით,
სხვა ხალისით და სხვა აღტაცებით.

შენში მჩქეფარე სიცოცხლის წყარო
ივრის ტალღების ხმაზე ხმიანობს,
უბრალო ქალო,
ოჯახის ქალო,
ჩემი ოცნების თანაზიარო.
შენმა სიკეთემ გულიც ახარა,
სულით მაღალი ჰგავხარ გოლიათს,
და ნაადრევი შენი ჭაღარა
ჩემი ოჯახის შუქი მგონია.
ახლა იწყება სიმღერის ალო,
ცვაშილი ჰანგებში ავახმიანოთ,
ქართველო ქალო,
ალალო ქალო,
ჩემი სიცოცხლის თანაზიარო.

გ. ჭიჭინაძე

ლექსები ბავშვებისათვის

### მამალას

ჯუ . . . ჯუ . . . ჯუ . . . ჯუ . . . მამალავ,
ამოივსე ფერდები:
წყალს როცა სვამ, ძვირფასო,
ზევით რად იხედები?

### ნემსიყლაპიას

შეჩერდი ერთ წამს, მისმინე,
ხმაზუზუნავ და სწრაფიავ,
გუშინ რომ ნემსი დავკარგე,
შენ ხომ არ ჩაგიყლაპია?

### ღამურას

ჩიტი ხარ თუ თაგუნა,
გვითხარ ბავშვებს მართალი.
თავზე ქოლგა რად გხურავს,
დარია თუ ავდარი?

### ბაჭიას

მე კარგად ვიცი, ბაჭიავ,
რისთვის წაგიხდა გუნება.
გსურს ჩემს ხალათზე ნაქარგი
სტაფილოს ჩაკნატუნება.

### კოდალას

დღედაღამ შეუსვენებლივ
მუხის ტოტზე ხარ გაკრული.
ნისკარტი არ გადაგიტყდეს,
ხეზე ამდენი კაკუნით!

### პეპელას

როგორ გიხდება სამოსი
ნაირფერებით ნაფენი.
ვინ შეგიკერა ეგ კაბა?
გვითხარ იმ თერძის სახელი.

### ფარშავანგს

ასე კოხტა და ლამაზი
არ იქნება, არ შეგაქო.
კარგი იყო სიმღერაც რომ
შეგესწავლა, ფარშავანგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამპის ჩირაღდნებთან



თხელი გოგონა, ქერათმიანი და ცისფერთვალა იდგა სარკის იქით ის უყურებდა ვერას ფართოდ გახელილი თვალებით. ფეხებზე გოგონას ეცვა... საბალეტო ფეხსაცმელები—თეთრი, პრიალა, კოჭთან თასმით შეკრული. ვერამ ტერფზე მოისვა ხელი და გაიცინა. გაიცინა გოგონამაც სარკეში და ფეხის ცერებზე შედგა.

ახლა ვერა წიგნაძე ღიმილით იხსენებს იმ დღეს: «ო, ეს ისეთი ბედნიერება იყო—პირველი საბალეტო ფეხსაცმელები!»

დღე გაფრინდა, როგორც ერთი წუთი. აი, უკვე ლურჯმა საღამომ შემოიხედა სარკმელში, ის კი ისევ სარკის წინ ტრიალებდა — პატარა გოგონა, სუსტი და ცისფერთვალა.

— ვერიკო, დაწექი.—მერამდენედ ეძახის დედა —სულ ნუ გააფუჭე ეგ ფეხსაცმელები, ხომ გითხრეს, გაისად ჩაიცვამო. დაწექი, კმარა!

ვერიკო ჭკვიანი გოგონაა, ჩუმი და დამჯერი. დიდიაც რომ უნდა ფეხსაცმელების გახდა. მაგრამ რომ ვერ ელევა! ის მოწყენით ჯდება სავარძელზე. გოგონა დაიღალა. აბა, სცადეთ და იარეთ მთელი დღე პუანტებზე. დაიღალა, ეძინება. მამა ხელში იყვანს მძინარეს და ფრთხილად მიჰყავს საწოლისაკენ. გოგონა ძალიან მსუბუქია თავისი ათი წლისათვის. მამა ლოყით ეკვრება მის ლოყას—ჩემი პატარა «ბალერინა».

ისინი დიდი მეგობრები იყვნენ—მამა და ვერა, და ისიც, რომ ვერა ბალეტის მსახიობი გახდა, მამის ბრალია. მას დაჰყავდა კვირაობით ბალეტის სპექტაკლებზე და როცა გოგონამ ბალეტის მსახიობობა ისურვა მამამ შეაგულიანა, თორემ დედა სულ უარობდა—სუსტია, გადაიღლებაო. შემდეგ გოგონა მაინც მიაბარეს ბაქოს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში—წიგნაძეების ოჯახი მაშინ ბაქოში ცხოვრობდა.

ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში. რიტმიკის დაუსრულებელი გაკვეთილები.

— მესამე პოზიცია, დაიკავეთ მესამე პოზიცია! ზურგი გაამაგრეთ, მუხლი არ მოხაროთ!—და ოცდახუთი პატარა ტანი გულმოდგინედ იხრება და იმართება.

მაგრამ ეს ის არაა, რაზეც გოგონა ოცნებობდა. ვერა თავს მოტყუებულად გრძნობს. ვარჯიში და მხოლოდ ვარჯიში. როდისღა დაიწყებენ ცეკვას?

დღე დღეს მისდევს. ზოგჯერ ვერა მასწავლებლის დაკვირვებულ მზერას ამჩნევს და მაშინ თავს არ იზოგავს.

* * *

ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები სპექტაკლი იყო. ვერა პა-დე-დეს ასრულებდა ბალეტ «ესმერალდადან». ახლა ის კულისებში იდგა და გული მაგრად უცემდა. მისი გამოსვლა. აღარ ახსოვს, როგორ გადადგა ფეხი სცენისკენ. სცენაზე იყო რაღაც ბინდი, სქელი და სულშემხუთავი, უფრო იქით ელავდნენ რამპის ჩირაღდნები და ვიღაცის ფეხები ხაზავდნენ წრეებს. ვერა შემდეგ მიხვდა, რომ ეს მისი ფეხები იყო.

მაგრამ მაყურებლები ამას ვერ ხედავდნენ. მათ მხოლოდ დაინახეს როგორ გამოფარფატდა ქალიშვილი გამჭვირვალე, ჰაეროვან კაბაში და ძალდაუტანებლად ასრულებდა რთულ საბალეტო ილეთებს. როცა ვერამ ცეკვა დაასრულა, დარბაზში ოვაციამ იქუხა.

იმავე წელს ვერა წიგნაძე ოპერისა და ბალეტის თეატრში მიიწვიეს. ასე დაიწყო მისი სცენიური ცხოვრება.

პირველი დამოუკიდებელი პარტია, რომელიც ვერამ ბაქოს თეატრის სცენაზე შეასრულა, იყო რაიმონდა, გლაზუნოვის ამავე სახელწოდების ბალეტში. პრესამ ერთხმად აღნიშნა ახალგაზრდა შემსრულებლის დიდი წარმატება და შესანიშნავი მომავალი უწინასწარმეტყველა მას.

გაიარა ორმა წელმა. იმ დღეს «ფაუსტი» მიდიოდა. ვერა «ვალპურგის ღამეში» ცეკვავდა. ჩქარა მისი გამოსვლა იყო.

— ვერიკო, თქვენს სახელზე დეპეშაა!—დაუძახეს.

მან დეპეშას დახედა. წაიკითხა, ერთხელ, მეორედ... ეჭვი აღარ იყო—დეპეშას ვახტანგ ჭაბუკიანი აწერდა ხელს. ქალიშვილი აღელდა: ვახტანგ ჭაბუკიანი, ცნობილი ბალეტმეისტერი! რომელ მსახიობს არ უოცნებია მასთან მუშაობაზე. მან კი, ამ სახელგანთქმულმა ოსტატმა, თვითონ გაიგო ვერას არსებობა და ახლა თავისთან იწვევდა!

სპექტაკლი როგორც იქნა დასრულდა. ვერამ ფაცი-ფუცით ჩაიცვა და სახლისკენ გაქანდა. კარი მამამ გაუღო:

— ვერიკო, რა მოხდა!

ვერიკო კი ატირდა და ყელზე შემოეხვია:

— იცი... მე ისე ვღელავ!

მღელვარება, მღელვარება! ის ისე ხშირად მოდის ხელოვანის ცხოვრებაში!

ქალიშვილი მთლად კანკალებდა, როცა სათაყვანებელი ბალეტმეისტერის წინაშე წარსდგა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთერთ სარეპეტიციო დარბაზში.

— თქვენს შესახებ მე ერთმა მსახიობმა მიამბო. ძალიან გაქოთ. აბა, ვნახოთ თქვენი რეპერტუარი.

— ბატონო ვახტანგ, მე... მე თქვენ მოგწერეთ, რომ მხოლოდ ერთ წამყვან პარტიას ვასრულებ. რაიმონდა...

— ოპო, განა ეს ისე ცოტაა?! აბა, დავიწყოთ.

მამა უშველე ვერას! ეს წუთები ისე ბევრს გადაწყვეტს! აი, ეს კაცი, გულხელდაკრეფილი რომ დგას კედელთან და დაკვირვებით უმზერს, ეს კაცი ჩაჰკიდებს მას ხელს და წაიყვანს საბალეტო ხელოვნების უმაღლესი მწვერვალებისაკენ—თუ მოისურვა, თუ მოეწონა...

მოეწონა! ამას ვერა მაშინვე მიხვდა როცა ცეკვა დაასრულა და თვალი მორიდებით შეავლო.

ვახტანგ ჭაბუკიანი იღიმებოდა:

— თქვენ მომაჯადოებელი გრაცია გაქვთ, ვერა ჩვენ ახლავე დავიწყებთ.

* * *

თოთხმეტმა წელმა გაიარა იმ დღიდან, დღე—ვარჯიში, ღამით—წიგნები: ხელოვნების ისტორია, მუსიკის ისტორია, გამოჩენილ მსახიობთა მონოგრაფიები, ვერა ბევრს მუშაობდა. გულისხმიერებით ძერწავდა ვახტანგ ჭაბუკიანი ახალგაზრდა მსახიობის პროფილს.

პირველი დიდი წარმატება თბილისის სცენაზე ვერა წიგნაძემ მინკუსის ბალეტ «დონ-კიხოტში» მოიპოვა, სადაც კიტრის ბრწყინვალე სახე შექმნა. მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა მისმა ლაღმა და დახვეწილმა ნახტომმა, სიკასკასემ და მჩქეფარე ტემპერამენტმა.

მაგრამ უფრო დიდი წარმატება ახალგაზრდა მსახიობს მაინც ადანის «ჟიზელმა» მოუტანა.

— «ჟიზელი»... როდესაც ამ ბალეტის რეპეტიციები დავიწყეთ, ასე მეგონა მთელი სიცოცხლე სულ ჟიზელს ვცეკვავდი»,—ამბობს მსახიობი.

მართლაც, ეს პარტია ყველაზე უფრო ახლოა ვერა წიგნაძის შემოქმედებით ინდივიდუალობასთან. პირველად სწორედ «ჟიზელში» გამოვლინდა მისი პოეტურობა, ქალური სინატიფე და ჰაეროვნება. ამ როლში წიგნაძემ ლენინგრადის გემოვნებადახვეწილი მაყურებელიც კი მოხიბლა. ისინი ვისაც «ჟიზელში» სახელგანთქმული გალინა ულანოვა უნახავთ.

გინახავთ წიგნაძე—ჟიზელი? პირველი გამოსვლისას ბავშვურად ცელქი და გულუბრყვილო. «მე ვცოცხლობ, მიყვარს, ბედნიერი ვარ»,—ამბობს ჟიზელი და მასთან ერთად ჩვენც ვცოცხლობთ, ჩვენც გვიყვარს, ჩვენც ბედნიერი ვართ.

მაგრამ ჟიზელი იგებს, რომ მოატყუეს. მის სატრფოს დანიშნული ჰყოლია. ის შეჰყვირებს და ეცემა, როგორც მოცელილი თეთრი ზამბახი. შეშლილობის სცენაში ვერა წიგნაძე უდიდეს დრამატიზმს აღწევს. ის ცეკვავს, მაგრამ მექანიკურად. მისი «პა» დაბნეულია, ნაწყვეტ-ნაწყვეტი. თითქოს სურს, რაღაც გაიხსენოს და ვერ იხსენებს. თითქოს ბუნდოვნად აგონდება თავისი უწინდელი მხიარული ბავშვური ცეკვა და უნდა დაიბრუნოს დაკარგული ბედნიერება, მაგრამ ამაოდ.

სასაფლაოს სცენაში ის თავისი ჰაეროვნებით მსუბუქ, გამჭვირვალე ღრუბელს გვაგონებს, ღრუბელივით არამიწიერია და ჰაერში ღრუბელივით დნება. ვისაც ერთხელ უნახავს, არასოდეს დაავიწყდება წიგნაძე—ჟიზელი, როცა ვილისები მას თავზე ადგამენ საქორწინო ფატას, რომლის დახურვა სიცოცხლეში არ ეღირსა.

«ჟიზელს» მოჰყვა «ლაურენსია», «შოპენიანა», «ბახჩისარაის შადრევანი», «გედების ტბა»... შემდეგ, როცა ვახტანგ ჭაბუკიანის დაუშრეტელმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ ჩვენი თეატრის სცენაზე სიცოცხლე მისცა ეროვნულ ქართულ ბალეტს, ვერა წიგნაძემ შექმნა ქართველი ქალების სათნო და კეთილშობილური სახეები.

კილაძის ბალეტ «სინათლეში» კეთილი ფერიის სახის შექმნისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა. შემდეგ ვერა კიდევ გახდა სტალინური პრემიის ლაურეატი—როცა ირემას პარტია შეასრულა თორაძის «გორდაში»; იმავე წელს ვერა წიგნაძემ რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიიღო.

ეს იყო დაუსრულებელი ძიების წლები. ახლა, როცა სცენაზე უცქერით მის ჰაეროვან პირუეტებს, როგორ იფიქრებთ, რომ ეს სიმსუბუქე, ეს ჰაეროვნება ათასობით საათის ძნელმა, დამქანცველმა ვარჯიშმა მოიტანა, მკაცრმა რეჟიმმა და ძალიან ბევრმა გატეხილმა ღამეებმა.

გატეხილი ღამეები... როცა სპექტაკლიდან სახლში დაქანცული ბრუნდები, როცა დაღლილი ფეხები დასვენებას ითხოვს, აღგზნებული ტვინი—დამშვიდებას, ღამე კი მიდის, თვალს რული არ ეკარება და მხოლოდ ვარსკვლავებთან ერთად დახუჭავ თვალებს.

თუმცა ამის შემდეგ უფრო მძაფრია გამარჯვების სიხარული. გამარჯვებამ კი მკვიდრად მოიკიდა ფეხი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

მაგრამ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების არცერთ ნაწარმოებს არ ხვდომია ისეთი მხურვალე და ერთსულოვანი აღიარება, როგორიც ა. მაჭავარიანის «ოტელომ» მოიპოვა.

დეზდემონას ქორეოგრაფიულ გადაწყვეტაში წიგნაძეს წინამორბედი არ ჰყოლია, მაგრამ მის გვერდით იყო ვახტანგ ჭაბუკიანი, შესანიშნავი ბალეტმეისტერი და დაუცხრომელი მაძიებელი, ის ვინც სული შთაბერა შექსპირის უკვდავ ნაწარმოებს და შექმნა ტიდებული ქორეოგრაფიული ტრაგედია ვენეციელი მავრისა და კეთილშობილი დეზდემონას დიადი სიყვარულის შესახებ.

მაგრამ ვერა მაინც ღელავდა. თითქოს მისი დეზდემონა არ იყო სრულყოფილი, თითქოს მაინც რაღაც აკლდა. ამჯერად მხატვარმა სოლიკო ვირსალაძემ უშველა. ერთერთ რეპეტიციაზე, როცა წიგნაძეს პირველად ჩააცვეს დეზდემონას კოსტუმი, ვირსალაძემ რაღაც გაუსწორა. თმა გააშლევინა, მერე ვერამ სარკეში ჩაიხედა და დეზდემონა დაინახა.

პირველი მოქმედების ლირიკულ დუეტში ბრაბანციოს ასული ნაზია და მომხიბლავი თავისი სისპეტაკით. გაქცევისა და სენატის სცენებში კი დეზდემონა თავგანწირული სატრფოა, რომელსაც შეუძლია თავისი გრძნობები დაიცვას. რა შესანიშნავად გადმოსცემს შეშფოთებას წიგნაძე—დეზდემონა, მშვენიერია მისი ცეკვა ბოლო სურათში, როცა ის ბავშვობაში მოსმენილ სიმღერას იგონებს—მტირალა ტირიფის შესახებ.

ამ როლში ვერა წიგნაძე წარმატებით გამოდიოდა მოსკოვში—ქართული ხელოვნების დეკადაზე, საგასტროლო მოგზაურობაში ევროპასა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. «დეზდემონა მსუბუქ თეთრ ტანსაცმელში ზღაპრულ ფრინველს გვაგონებს, უცხო ქვეყნიდან მოფრენილს»; «ის იმდენად ჰაეროვანია, რომ არ იცი, სად თავდება ჰაერი და სად იწყება მსახიობი»...—წერდნენ გაზეთები.

ძნელია ერთ წერილში ჩამოთვალო მსახიობის ყველა გამარჯვება და პატარა მარცხი. სიხარულის აღტყინება, წუხილი გაცუდებული ილეთისათვის,—რომ შეეძლოთ, ყველაფერ ამაზე გვიამბობდნენ რამპის ჩირაღდნები. ისინი ყველაფრის მოწმენი არიან. მათ უნახავთ ბალეტის სოლისტი—ვერა წიგნაძე, მისი ბრწყინვალე, სიცოცხლით სავსე კიტრი, გრაციოზული ტაო ხოა, მზეთუნახავი ავრორა—ქალური, კეკლუცი და მომხიბლავი, უარყოფილი ჯავარა, ირემა — მოყვარული და მორჩილი, სათნო და კეთილშობილი დეზდემონა...

ჯერჯერობით დეზდემონა არის უკანასკნელი, ვისი სცენიური სახეც ვერა წიგნაძემ შექმნა. მომავალში?

— ახლა ჩვენ ყველანი «დემონზე» ვფიქრობთ,—ამბობს, ის,—მე თავადის ასულ თამარზე... ვინ დგამს? რა თქმა უნდა ჭაბუკიანი...

ის იღიმება და ეს ღიმილი მე არ მეკუთვნის. მსახიობი ახლა ახალ გმირზე ოცნებამ გაიტაცა. ის იღიმება და მე მახსენდება პატარა გოგონა, ქერათმიანი და ცისფერთვალა, სარკესთან რომ ოცნებობდა დიდ ხელოვნებაზე.

**ნანული ბარათაშვილი**

# თამარ აბაკელია



შურისძიება

ჩვენი ხალხის მეხსიერებაში ბევრი კარგი მოღვაწე ქალის სახელი აღბეჭდილა. თანამედროვე მოღვაწეებიდან, რომლის ხსოვნასაც ქართველი ხალხი მუდამ სასოებით შეინახავს, არის დიდი მხატვარი-გრაფიკოსი და მოქანდაკე თამარ გრიგოლის ასული აბაკელია.

მისი შემოქმედების ღირსება შეიძლება სრულყოფილად გავიგოთ მაშინ, თუ მოვიგონებთ, რომ მან ისტორიული წარსულის დიდი დამაჯერებლობის მქონე სახეების გვერდით, იშვიათი მხატვრული ძალით აღბეჭდა ჩვენი ეპოქის ადამიანი და რომ ყოველივე ეს მისი შემოქმედების სარკეში, არამარტო თავისებურად (თამარისებურად), არამედ ისეთი მხატვრული განზოგადებით აისახა, რასაც ეროვნული სტილი ჰქვია, და რაც მხოლოდ ბედნიერ ხელოვანთა ხვედრი არის ხოლმე.

სახელოვანი მხატვარი დაიბადა დაბა ხონში, 1905 წ. იურისტისა და თეატრის დიდი მოყვარულის გიორგი აბაკელიას ოჯახში.

1923-30 წლებში თამარ აბაკელია სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მოქანდაკე ი. ნიკოლაძესა და ნ. კანდელაკთან. თამარმა ქართველ მხატვართა გამოფენაზე მონაწილეობა სტუდენტობის წლებშივე მიიღო. 1936 წელს იგი იაკობ ნიკოლაძესთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ჰორელიეფებით შემკობას შეუდგა. აქ თამარის ხელს ეკუთვნის ფასადის მთელ ზედა ჰორიზონტალურ არეზე გამოკვეთილი გრძელი ჰორელიეფური ფრიზი. ეს ნაწარმოები ქართული საბჭოთა ქანდაკების ეტაპური ქმნილებაა. ამ მომენტიდან თამარ აბაკელიამ საბჭოთა მოქანდაკეების პირველ რიგებში დაიმკვიდრა ადგილი. მის ხელს ეკუთვნის მრავალი სხვა შესანიშნავი ქანდაკებაც, როგორიცაა, მაგალითად: «პარტიზანი», «კავკასიის დამცველთა მოსაგონებელი» — ძეგლის პროექტი, «კოლმეურნის ოჯახი», «ლესია უკრაინკა», განსაკუთრებით საყურადღებოა «შურისძიება», რომელიც ფაშისტური ურდოების მხეცობის წინააღმდეგ უძლიერესი პროტესტის გამოსახულებაა.

თამარ აბაკელიამ წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული კინოსა და თეატრალური ხელოვნების განვითარებას. როგორც მხატვარ-დეკორატორმა, გააფორმა კინოფილმები «არსენა», «გიორგი სააკაძე», «დავით გურამიშვილი», სპექტაკლები: ვაჟა-ფშაველას «მოკვეთილი», ს. შანშიაშვილის «ხევის ბერი გოჩა», ს. კლდიაშვილის «ირმის ხევი» კ. კალაძის «ლალი», შ. თაქთაქიშვილის ბალეტი «მალთაყვა», ბიზეს ოპერა «კარმენი» და სხვა.

თამარ აბაკელიას სახელთან დაკავშირებულია ქართული წიგნისა და დაზგური გრაფიკის განვითარებაც. რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მან შექმნა «ვეფხისტყაოსნის» ილუსტრაციები უკრაინული გამოცემისათვის. მის ხელს ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას პოემების და ალ. ყაზბეგის მოთხრობების ილუსტრაციებიც, მანვე გააფორმა დ. გურამიშვილის «დავითიანი», ნ. ტიხონოვის «ლექსები კახეთზე», სომხური ეპოსი «დავით სასუნელი» და მრავალი სხვა. დაზგურ გრაფიკაში თამარ აბაკელიამ თავის ხალხს დაუტოვა ისეთი მშვენიერი ქმნილებები, როგორიცაა მაგალითად, «წყაროსთან», «იმერელი ბიჭი», «შუააზიელი გოგონა», «ნარინჯის კრეფა», «ბედნიერი ოჯახი», «გიორგი სააკაძე», «სასიხარულო ამბები ფრონტიდან», «შემოდგომა», «შეხვედრა», «სიმღერა გმირს», და სხვა მრავალი.



ბედნიერი ოჯახი

დამახასიათებელია, რომ თამარ აბაკელია სიცოცხლეშივე თითონ გახდა პოეზიის საგანი.

ალ. ვორონკომ ლესია უკრაინკასთან ერთად მას მიუძღვნა ვრცელი პოემა «ლეგენდის დაბადება», რომელიც რამდენიმე ენაზეა თარგმნილი.

დოცენტი ოთარ ფირალიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაცია

სასიხარულო ამბები ფრონტიდ





# ნელი ტრაპში

. . . ტელეფონის ზარი აწკრიალდა. სოხუმის საქალაქო საბჭოს მთავარი ინჟინერი თამარ გიძბა რეკავდა.

— ამხანაგო ნელი, ტყვარჩელიდან არასასიამოვნო ცნობაა, მეორე და მესამე შახტი უკვე ორი დღეა გეგმას ვერ ასრულებს.

ნელის უსიამოვნების ჩრდილმა გადაუარა სახეზე, წარბები კუშტად შეჰკრა.

— მივდივარ!—იყო მოკლე პასუხი.

იცის ნელიმ, მუშებს მისი გამოჩენა გაახარებს; სჯერათ მისი. იგი ხომ ყველას დამხმარე, მეგობარი და ახლობელია.

ნელი შახტში ჩავიდა. ყველას მოუსმინა. მდგომარეობა აწონ-დაწონა და მერე მუშებს მიუბრუნდა.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, ყველაფერი მოგვარდება.—შემდეგ შახტის უფროსები მოინახულა და თავისებურად შეახურა.

— ცუდად მუშაობთ, ამხანაგებო. ხომ არ გავიწყდებათ, შვიდწლედის მეორე წელია. თუ თქვენ ვერართმევთ საქმეს თავს, მაგალითი მეხუთე და მეექვსე შახტიდან აიღეთ, ჩამორჩენილ ბრიგადებს მოწინავე ადამიანები მიამაგრეთ, მიბაძეთ ვალენტინა გაგანოვას თაოსნობას, დაეხმარეთ მუშებს კვალიფიკაციისა და იდეური დონის ამაღლებაში...

შახტიდან წამოსულს, ქალი წამოეწია, რომელსაც ორი პატარა ბავშვი მოჰყავდა.

— უნდა დამეხმაროთ! ქმარმა მიმატოვა. მე არ ვმუშაობ, მიჭირს ბავშვების შენახვა.—ეუბნებოდა თვალცრემლიანი ქალი ნელის.

ნელიმ ქალს ხელი მოხვია, ბავშვები დაკოცნა და მანქანაში ჩაისვა.

— დამშვიდდით. ვიდრე თქვენს მეუღლეს მოველაპარაკებოდე, ჩემთან წამოხვალთ...

ნელი ფიქრებში წავიდა. აი, როგორი მამებიც არიან... მაშინ რა უნდა ექნა საცოდავ მამას? თვალწინ დაუდგა ქალაქსა და რაიონის ცენტრს მოწყვეტილი, მთებში ჩაკარგული პატარა სოფელი აცი... ისლით გადახურული ფაცხა, ერთმანეთის მიმდევნო ექვსი და-ძმა, ნელი უფროსი ქალიშვილი, მამის გამუდმებული ოხვრა:

— რა იქნებოდა პირველი შვილი ვაჟი მყოლოდა...

ვაჟის მაგივრად თოხით ხელში ნელი ამოუდგა მამას მხარში.

მიქტატ ტრაპშმა ვერ გაიმეტა შვილი თოხისათვის.

— კმარა მე და ჩემი ცოლი რომ უსწავლელი ვართ, ჩემმა შვილებმა უნდა ისწავლონ—მიქტატი ახალათონში გადასახლდა, რადგან იქ ოთხკლასიანი სასწავლებელი იყო და სოხუმიც ახლოს ეგულებოდა. ნელიმ არაჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში, საშუალო წარჩინებულად დაამთავრა. გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ინჟინერი გამოსულიყო. მაგრამ დახეთ უბედურებას!

ჯერ კიდევ 15 წლის იყო, როცა მშობლებმა გადაწყვიტეს მისი ბედი. ნელი დანიშნეს.

— სიტყვა სიტყვაა,—განაცხადა საქმრომ, — არ გამომყვები? სისხლს ავიღებ.

— მე ხომ სწავლა მინდა,—აცრემლებული ევედრებოდა ნელი.

— რაც ისწავლე, ისიც მეტია. ქალს რად უნდა სწავლა.

ნელი გაჯიუტდა, მაგრამ საქმროს საგვარეულო ფეხზე ადგა.

— ეს ხომ გვარის შეურაცხყოფაა, სისხლი დაიღვრება,—ამბობდნენ ისინი.

ძალად ქორწილი... ნელი ადათის თანახმად კუთხეში დგას, მანდილი უფარავს სახეს, სიხარულის ნაცვლად ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. საქმრო? მეზობლებში იმალება, სირცხვილია მისი გამოჩენა ხალხში, გაკიცხავენ. ასეთი იყო აფხაზური ადათი.

გვიან ღამით მიიპარა ცოლთან, მაგრამ სარეცელი ცარიელი დახვდა...

ამ დროს ნელის თბილისისაკენ მიაქროლებდა მატარებელი... თბილისის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა შვილივით მიიღო. საერთო ბინა, სტიპენდია. ნელი დაეწაფა სწავლას. დედმამა შემოწყრა... მაინც ვერ მოიწყვიტა მშობელმა გულიდან შვილი. რამდენიმე ხნის შემდეგ სანოვაგით დატვირთული ესტუმრა მამა, ფულიც ჩამოუტანა. ნელიმ ეჭვის თვალით გადახედა. იცოდა მამის შესაძლებლობა. «ნეტავ, იმათ ხომ არ გამოატანეს? მაშინ ხელსაც არ ახლებს».

მიქტატი მიუხვდა ფიქრს. შვილის სიამაყემ ღიმილი მოჰგვარა.

— ნუ გეშინია, შვილო, არ ჩამომითხოვია, მარჩენალი კამეჩი გავყიდე.

დაკოჟრებული ხელებით იკრავდა მკერდში მიქტატი აქვითინებულ ნელის.

— რა გატირებს, შვილო?.. ჩემი მარჩენალიც და სიამაყეც შენა ხარ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცოდნითა და ენერგიით სავსე ინჟინერი ქალი დაუბრუნდა აფხაზეთს. პირველად აგურის ქარხანაში დაიწყო რიგით ინჟინრად მუშაობა...

აქ შეხვდა გულის ტოლს. მიხეილ ხინტბას შავი თვალები უსიტყვოდ ეფიცებოდა ნელის სიყვარულს. ვაჟის სიყვარულმა გასტეხა ქალი და ნელიმ სამუდამოდ დაუკავშირა ცხოვრება მიხეილ ხინტბას. ქმარი უმაღლეს სასწავლებელში გამოისტუმრა, თვითონ კი დაუღალავი ენერგიით ჩაება შრომაში. დააფასეს მისი ღვაწლი. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მალე კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშნეს. 1957 წელს პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩიეს, ამჟამად პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგეა.

ნელი ახლა თავგამოდებით იბრძვის დიადი შვიდწლედის განხორციელებისათვის. მან არ იცის მოსვენება და დაღლა. სად არ ნახავთ? ახალმშენებლობათა ხარაჩოებზე, ქარხნებში, ციტრუსების პლანტაციებში... და განა მარტო საერთო საქმის ერთგულია? შესანიშნავი დედა და ყურადღებიანი მეუღლეა. ბედნიერია ნელი. მაინც წუხს:

— ნეტავ, დღე-ღამეში ოცდაოთხი საათის ნაცვლად ორმოცდაოთხი საათი იყოს. მეტის გაკეთებას შევძლებდი.

ოლია რევია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი ცხოვრების შინაარსი

სისხლსავსე, საინტერესო და შინაარსიანია ჩვენს ქვეყანაში მშრომელი ადამიანის ყოველი დღე. მოწინავე მწველავის, ამ უბრალო და ენერგიული ქალის ეკატერინე ლეშჩევას ცხოვრება, ამის ნათელი დადასტურებაა.

შრომა ეკატერინემ ჯერ კიდევ ბავშვობაშივე შეიყვარა და შეისისხლხორცა. თხუთმეტი წლისა არ იყო, რომ შემოჯდებოდა ფურგონზე და შაირების სიმღერით მინდორში სამუშაოდ გაეშურებოდა. მუშაობდა და თან მღეროდა თვალებციმციმა კატია. მღეროდა მისი ხალისიანი და სიცოცხლით სავსე გული. სიმღერა შრომას უადვილებდა.

1955 წელს ეკატერინე საქართველოში ჩამოვიდა. მოეწონა საქართველო რუს გოგონას და გადაწყვიტა აქ დარჩენილიყო საცხოვრებლად. ბიჭვინთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა მწველავად და სულ მოკლე დროში გამოიჩინა თავი თავდადებული და დაუღალავი შრომით.

1956 წელს ჟურნალმა «ოგონიოკმა» გარეკანზე მოათავსა ეკატერინე ლეშჩევას სურათი.

ჟურნალის ფურცლებიდან ეკატერინე ლეშჩევა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაიცნეს. ნიაღვრად წამოვიდა წერილები მის სახელზე კორეიდან, რუმინეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდინ, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ამან კიდევ უფრო გაახალისა ეკატერინე. უფრო მეტი ენთუზიაზმით აღივსო და ახალახალი წარმატებებისათვის იღწვოდა. სოფლის მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის ეკატერინე ლეშჩევამ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრავალი საპატიო სიგელი დაიმსახურა, მოიპოვა ხალხის დიდი ნდობაც — 1957 წლიდან იგი გაგრის რაისაბჭოს დეპუტატია. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ეკატერინეს. კარგად იცის, რომ იგი არა მარტო ხალხის მსახურია, არამედ ყველა საქმეში მაგალითის მიმცემიც. ამიტომაა, რომ დაიწყება თუ არა მისი სამუშაო დღე, იგი არაჩვეულებრივი გულმოდგინებით შრომობს. ეკატერინეს ცეცხლი, ხალისი და ენერგია გადაედება ხოლმე მისი ბრიგადის წევრებს და ისინიც თავდადებულად მუშაობენ — წველავენ, ბანენ, კვებავენ ძროხებს. შარშან ეკატერინე ლეშჩევამ თვითეულ ძროხაზე 4000 ლიტრი რძე მიიღო.

ეს ახალგაზრდა ქალი შრომასა და ოჯახის მოვლასთან ერთად წიგნების კითხვის დროსაც პოულობს. იგი შესანიშნავად იცნობს გასული საუკუნის და თანამედროვე მწერლობას. კინოშიც ხშირად დადის და ყოველმხრივ ცდილობს აიმაღლოს კულტურული დონე.

როცა გაიცნობ და გაიგებ ამ უბრალო მშრომელი ადამიანის ლამაზ ცხოვრებას, უნებურად იფიქრებ — აუცილებელი არაა დიდი ხელოვანი, დიდი შემოქმედი იყო. ცხოვრება რომ შინაარსიანი და მიმზიდველი გქონდეს, მთავარია იცოდე, როგორ იცხოვრო. ეკატერინე ლეშჩევამ ეს იცის.



გულნარა ბახტაძე

## ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსი ახალგაზრდა ქალებისა და ქალიშვილებისათვის

**დილის რეგულარული ტანვარჯიში ორგანიზმის გაკაჟების კარგი საშუალებაა, უვითარებს მოქნილობას, უკოხტავებს ტანს.**

**წარმოდგენილი კომპლექსი, ჩვენო ახალგაზრდა მკითხველებო, დაგეხმარებათ გახდეთ უფრო მოხდენილი აგებულების, აამაღლებს თქვენს შრომისუნარიანობას, მხნეობას.**



პ ი რ ვ ე ლ ი  ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად. თვლაზე «ერთი-ორი» ხელები (მტევნები მოდუნებულია) გვერდითი მიმართულებით ასწიეთ ზევით, აიწიეთ ფეხის წვერებზე, ამასთან, ხელის გულები ამოატრიალეთ ზევით და უყურეთ ხელის მტევანს. ჩაისუნთქეთ. თვლაზე «სამი-ოთხი» ჩამოუშვით ხელები გვერდითი მიმართულებით, დადექით მთელ ტერფზე.

ვარჯიში ნელ ტემპში გაიმეორეთ 7-8-ჯერ



მ ე ო რ ე  ვ ა რ ჯ ი შ ი  საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ფეხის წვერები ერთმანეთთან.

თვლაზე «ერთი-ორი» გააკეთეთ ჩაჯდომა, ხელებით შეეხეთ იატაკს, ამოისუნთქეთ. თვლაზე «სამი-ოთხი» ადექით, ხელები ასწიეთ მაღლა, მარჯვენა ფეხი გასწიეთ უკან. ჩაისუნთქეთ.

ვარჯიში მეორდება საშუალო ტემპში 4-6-ჯერ. ამავე დროს, უკან მიდის ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხი.



მ ე ს ა მ ე  ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა: ფეხები მხრების სიგანეზე, დოინჯი.

თვლაზე «ერთი» დაიხარეთ წინ, თვლაზე «ორი» ოდნავ გადაიწიეთ და სწრაფად დაიხარეთ ისევ წინ ფეხის მოუღუნავად. ხელის თითებით შეეხეთ იატაკს და ამოისუნთქეთ. თვლაზე «სამი-ოთხი» დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში სრულდება 8-10-ჯერ საშუალო ტემპში.

შ ე მ ს უ ბ უ ქ ე ბ უ ლ ი  ვ ა რ ი ა ნ ტ ი: იგივე ვარჯიში, მხოლოდ საწყის მდგომარეობაში ფეხები ერთადაა.



მ ე ო თ ხ ე  ვ ა რ ჯ ი შ ი  საწყისი მდგომარეობა: ფეხები მხრების სიგანეზე, ხელები კეფაზე. თვლაზე «ერთი-ორი» შებრუნდით მთლიანად მარჯვნივ. ხელის მტევნები მოადუნეთ და გააკეთეთ განმკლავი. თვლაზე «სამი-ოთხი» დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში სრულდება 4-6-ჯერ ყოველი მხრივ. ტემპი საშუალო, სუნთქვა თანაბარი.



მ ე ხ უ თ ე  ვ ა რ ჯ ი შ ი  საწყისი მდგომარეობა: დაეშვით მუხლებზე, ხელისგულებით დაეყრდენით იატაკს.

თვლაზე «ერთი» მოხარეთ ხელები, მკერდი მიუახლოვეთ იატაკს, ამოისუნთქეთ. ამასთან ასწიეთ თავი და ეცადეთ, რომ ზურგი გეჭიროთ გამართულად. თვლაზე «ორი» დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ.

ვარჯიში მეორდება ნელ ტემპში 4-8-ჯერ.

მ ე ე ქ ვ ს ე  ვ ა რ ჯ ი შ ი  საწყისი მდგომარეობა: დაჯექით იატაკზე, გაჭიმეთ ფეხები. ხელები გადაიტანეთ უკან და ხელისგულებით დაეყრდენით იატაკს.



თვლაზე «ერთი» მოხარეთ ფეხები თვლაზე «ორი» გაჭიმეთ ფეხები და ასწიეთ მაღლა, თვლაზე «სამი» მოხარეთ ფეხები. თვლაზე «ოთხი» მიიღეთ საწყისი მდგომარეობა.

გაიმეორეთ ვარჯიში ნელ ტემპში 6-8-ჯერ.

მ ე შ ვ ი დ ე  ვ ა რ ჯ ი შ ი  საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები მაღლა. თვლაზე «ერთი» სწრაფად აიქნიეთ ფეხები წინ, ხელები დაუშვით და შეეხეთ ფეხის წვერებს, ამოისუნთქეთ. თვლაზე «ორი» დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ.



*ვპასუხობთ მკითხველებს*

# საშვილოსნოს ფიბრომიომა

„გთხოვთ აგვიხსნათ, რისგან ჩნდება საშვილოსნოს ფიბრომიომა და როგორი გართულებები შეიძლება ჰქონდეს. აუცილებელია თუ არა ქირურგიული ჩარევა?“

ნ. ხიზანიშვილი
(თბილისი)

რედაქციის თხოვნით ჩვენს მკითხველს პასუხს გასცემს პროფესორი ა კ ა კ ი  შ ა ქ რ ა ძ ე:

«ფიბრომიომა» კეთილთვისებიან სიმსივნეს ნიშნავს, რომელიც ფიბროზულ და კუნთოვან ქსოვილებს შეიცავს. ზოგჯერ ფიბრომიომაში ერთერთი ქსოვილი მეტად არის განვითარებული. იმისდამიხედვით, თუ რომელი ქსოვილი ჭარბობს სიმსივნეში—შემაერთებელი თუ კუნთოვანი, პირველ შემთხვევაში სიმსივნეს ეწოდება ფიბრომა, მეორეში კი მიომა. სიმსივნის აღნაგობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მისი ამოკვეთისა და მიკროსკოპულად შესწავლის შემდეგ.

ფიბრომიომის გამომწვევი მიზეზი, ისევე როგორც საერთოდ ყველა სიმსივნისა, დღემდე არაა საბოლოოდ შესწავლილი. ამის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს.

ფიბრომიომა შეიძლება განვითარდეს ქალის სასქესო ორგანოებში, უფრო ხშირად—საშვილოსნოში, ძუძუში და სხვ. საშვილოსნოს ფიბრომიომა გვხვდება 20 წლის ასაკიდან ღრმა მოხუცებულობამდე, მაგრამ უფრო ხშირად ის წარმოიშობა და ვითარდება ახალგაზრდობაში და მოწიფულობის პერიოდში, კლიმაქსის დაწყებამდე. მენსტრუაციის შეწყვეტის შემდეგ კი ფიბრომიომა უკუგანვითარებას განიცდის, მოცულობაში პატარავდება.

საშვილოსნოს ფიბრომიომას ნელი ზრდა ახასიათებს; წლებია საჭირო იმისათვის, რომ მან დიდ მოცულობას მიაღწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში კონსულტაციების ფართო ქსელი და საყოველთაო საექიმო დახმარება არსებობს, დღესაც გვხვდება შემთხვევები, როდესაც საშვილოსნოს ფიბრომიომა ისეთი დიდია, რომ თითქმის დრომდე მიტანილ ორსულ საშვილოსნოს უდრის.

არის შემთხვევები, როცა საშვილოსნოს ფიბრომიომა მხოლოდ საექიმო გასინჯვისას გამოაშკარავდება, ადრე კი ავადმყოფი არაფერს არ გრძნობდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ფიბრომიომას ახასიათებს გარკვეული ნიშნები: მენსტრუალური ციკლის მოშლილობა (რაც გამოიხატება მენსტრუაციის დროს გახანგრძლივებული და გაძლიერებული სისხლდენით), ტკივილები მუცლის ქვედა ნაწილში, სიმძიმის შეგრძნობა, შარდბუშტისა და სწორი ნაწლავის ფუნქციების მოშლილობანი. ამ ნიშნების შემჩნევისთანავე ქალმა უეჭველად უნდა მიმართოს ექიმს, რომ თავიდან აიცილოს საშიში გართულებები.

ზოგჯერ სიმსივნე შეიჭრება საშვილოსნოს ღრუში და გარეთ იწყებს გამოსვლას. ასეთი მდგომარეობა ხასიათდება საშვილოსნოდან გამუდმებული და გაძლიერებული სისხლდენით. სისხლდენა იმდენად მძლავრი და შეუპოვარია, რომ ვითარდება ძლიერი ანემია, ჰემოგლობინი მკვეთრად ეცემა და ზოგ შემთხვევაში საბედისწერო ხდება ავადმყოფისათვის.

შესაძლებელია ფიბრომის ინფიცირება (ე. ი. დაჩირქება), თუ სხვა თუნდაც დაშორებულ ორგანოში არსებობს ინფექციის წყარო (მაგალითად, ნუშისებური ჯირკვლის ჩირქოვანი ანთება). ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს ფიბრომიომის კვანძის დაჩირქება და სისხლის მოწამვლაც კი.

ზოგჯერ საშვილოსნოს ფიბრომიომის ნაწილი დაშლა-გადაგვარებას განიცდის (ნეკროზი). ამ დროს სიმსივნე კარგავს თავის ელფერს და მოხარშული ხორცის ფერს ემსგავსება. ასეთი მდგომარეობა იწვევს ხანგრძლივ ძლიერ ტკივილს მუცლის არეში და მაღალ სიცხეს.

გავრცელებულია აზრი ფიბრომიომის კიბოდ გადაგვარების შესახებ. ეს შეხედულება არ არის სწორი. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ფიბრომიომა შემაერთებელ და კუნთოვან ქსოვილებისაგან შედგება. კიბო კი განვითარებას იწყებს ლორწოვან გარსში და შემდეგ ვრცელდება ზემოხსენებულ ქსოვილებში. ასე რომ, კიბო უფრო ხშირად ნორმალურ საშვილოსნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორწოვან გარსში წარმოიშობა, ვიდრე ფიბრომიომის დროს. და თუ ფიბრომიომის დროსაც წარმოიშვა საშვილოსნოს კიბო, ეს უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი.

საშვილოსნოს ფიბრომიომა შეიძლება გადაგვარდეს ისეთ ავთვისებიან სიმსივნედ, როგორიც არის სარკომა. სტატისტიკის მიხედვით საშვილოსნოს ფიბრომიომის ავთვისებიან სიმსივნედ გადაგვარება ხდება 3—5%-მდე. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ეს გაზრდილი ციფრია და ასეთი შემთხვევები ნახევარ პროცენტსაც არ შეადგენს.

როდესაც საშვილოსნოს ფიბრომიომაში სარკომატოზულად გადაგვარების პროცესი მიმდინარეობს, სიმსივნე სწრაფად მატულობს მოცულობაში. ეს ერთადერთი თვალსაჩინო და ყურადსაღები სიმპტომია ამ ავთვისებიანი სიმსივნის შედარებით დროულად გამოვლინებისათვის.

საშვილოსნოს ფიბრომიომის დროს განაყოფიერების შესაძლებლობა შემცირებულია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სიმსივნე საშვილოსნოს ღრუშია მოთავსებული.

როგორც ორსულობა, ისე მშობიარობა ფიბრომიომის შემთხვევაში სხვადასხვა გართულებებით მიმდინარეობს. ხშირია ორსულობის შეწყვეტა, ნაადრევი მშობიარობა. თუ სიმსივნე საშვილოსნოს ქვედა ნაწილში, მის ყელთან ახლოს მდებარეობს, ის ავიწროებს სამშობიარო გზებს და მშობიარობის ჩატარება ბუნებრივად შეუძლებელი ხდება. ამიტომ საკეისრო გაკვეთას მიმართავენ.

მშობიარობის შემდეგ მოსალოდნელია საშვილოსნოდან ძლიერი სისხლდენა. გართულება მოსალოდნელია ლოგინობის ხანაშიც: ზოგჯერ ადგილი აქვს სიმსივნის ნეკროზს, ინფიცირებას და სისხლის მოწამვლასაც.

საშვილოსნოს ფიბრომიომის პროფილაქტიკა არ არსებობს, რადგან უცნობია მისი წარმოშობის მიზეზები. მხოლოდ უნდა დავიმახსოვროთ, რომ ფიბრომიომის დროს დაუშვებელია წყალტუბოს აბაზანების და, საერთოდ, ცხელი აბაზანების ხანგრძლივად მიღება, დიათერმია, ტალახითა და სხვა სახის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა.

რაც შეეხება საშვილოსნოს ფიბრომიომის მკურნალობას, უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაცია ყველა შემთხვევაში არ კეთდება და თვითეული ავადმყოფი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. მკურნალობის მეთოდის შერჩევისას მხედველობაში იღებენ ავადმყოფის წლოვანებას, სიმსივნის მოცულობას, მის მიერ გამოწვეულ გართულებებს და სხვა.



ვარჯიში სრულდება ხან ერთი და ხან მეორე ფეხის შენაცვლებით 6-8-ჯერ საშუალო ტემპში. ამასთან ეცადეთ არ მოხაროთ ფეხები.

მ ე რ ვ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, დოინჯი.

ადგილზე ხტომი ჩქარ ტემპში 20-30-ჯერ

მ ე ც ხ რ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: სიარული თანდათანობით შენელებული ტემპით და გაღრმავებული სუნთქვით.

8

# როგორ მოვუაროთ სახის კანს გაზაფხულზე და ზაფხულში

# კოსმეტიკა

*ვპასუხობთ მკითხველებს: ნ. და დ. ლალუაშვილებს, ქ. ორთოიძეს.*

გაზაფხულზე და ზაფხულში, მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით, კანის ფერი იცვლება, მუქდება. ხოლო იმათ, ვისაც, ნაზი და მგრძნობიარე კანი აქვს, სახეზე, გულმკერდზე, ზურგზე და მკლავებზე უჩნდებათ ჭორფლი, რომელიც შემოდგომაზე და ზამთარში თითქმის არ შეიმჩნეოდა, ან სრულებით არ იყო.

ზოგიერთებს კი გაზაფხულზე კანზე ლაქები უჩნდებათ, მაგრამ მათი წარმოშობის მიზეზი მზის სხივები როდია, ეს ლაქები გამოწვეულია შინაგანი ორგანოების სხვადასხვა დაავადებებით (მაგალითად, ღვიძლის, თირკმლების დაავადება, საკვერცხეების ფუნქციის მოშლა), ლაქებს იწვევს აგრეთვე ძლიერი სიგამხდრე, ორსულობა, ჭიებით დაავადება,—მზის სხივები კი მხოლოდ ხელს უწყობს მათ გამოაშკარავებას, ამიტომ ლაქების გაჩენისას თავდაპირველად უნდა გამოვიკვლიოთ მათი წარმოშობის მიზეზი და თუ სამკურნალოა, ვუმკურნალოთ.

როდესაც ლაქებისა და ჭორფლის შეფერვის ინტენსიობა ისე მატულობს, რომ კოსმეტიკურ ნაკლად იქცევა, უნდა ვიხმაროთ კანის ზედა ფენის ამქერცლავი საშუალებები.

ამ წერილში ჩვენ გთავაზობთ ყველა იმ ნაზ საშუალებებს, რომლებიც აფერმკრთალებს სუსტად გამოხატულ ჭორფლს და ლაქებს და რომელთა ხმარება სახლში უხიფათოდ შეიძლება. ამ საშუალებებიდან თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ რომელიმე; ზოგის შეძენა აფთიაქში შეიძლება (მაგალითად, ბადიაგა, 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგი, 10-20-პროცენტიანი ბურა), ზოგის დამზადება კი თქვენ თითონ შეგიძლიათ: მაგალითად, ლიმონის, ხენდროს, მარწყვის, კიტრის წვენი, აგრეთვე მაწონი და ცილის რძე.

**ხმარების წესები:**

1) დაახლოებით 4 ჩაის კოვზ ბადიაგას დაუმატეთ იმდენი 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგი, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა. ეს მასა ბამბის ტამპონით ფრთხილად წაისვით სახეზე და დატოვეთ 15-20 წუთით. შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ასე გაიმეორეთ დღეში ერთხელ 8-10 დღის განმავლობაში სანამ კანი არ აიქერცლება. ამის შემდეგ კი უნდა იხმაროთ მზისაგან დამცველი კრემი.

2) 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგისა და 10-20-პროცენტიანი ბურის ხსნარით დაასველეთ ბამბა და გადაიწმინდეთ კანი დღეში 2-3-ჯერ.

3) სახეზე წაისვით გადაჭრილი ლიმონი ან ლიმონის წვენი დღეში ერთხელ, 20-25 წუთის შემდეგ შეიზილეთ მკვებავი ან მათეთრებელი კრემით.

ასეთივე წესით იხმარეთ პამიდორი, ახალი ვაშლი, კიტრი, ტყემალი.

4) ხენდრო და მარწყვი დასრისეთ და წვენი კანში შეიზილეთ დღეში ერთხელ. ზემოთჩამოთვლილი ვიტამინის ნილბები (ლიმონის, ხენდროს, მარწყვის, პამიდორის და სხვა) სახიდან წყლით კი არ ჩამოიბანოთ, არამედ 30-40 წუთის შემდეგ შეიზილეთ კრემით—მშრალ სახეზე—მკვებავით, ცხიმიანზე კი—მათეთრებელით.

5) მაწონი შეიცავს რძის მჟავას, რომელიც მოქმედებს კანზე და ნაზ აქერცვლას იწვევს. მაწონის ხმარება ყოველდღე შეიძლება, 15-20 წუთით კანის აქერცვლამდე.

6) ცილის რძე (მშრალი კანისათვის), 2 კვერცხის ცილა ათქვიფეთ ნაზად, ისე, რომ ლორწოვანება დაკარგოს, ჩაასხით ბოთლში, დაუმატეთ 1 ლიმონის წვენი, ანჯღრიეთ 1 საათის განმავლობაში და დადგით. მეორე დღეს თანდათანობით დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი რძის ნაღები, 200 გრ პურის არაყი და თან ანჯღრიეთ 2 საათის განმავლობაში, იქამდე, სანამ ერთგვაროვან სითხეს მიიღებთ.

თუ თქვენ ცხიმიანი კანი გაქვთ, ცილის რძე შემდეგი შეფარდებით უნდა მოამზადოთ: 3 კვერცხის ცილა, 2 ლიმონის წვენი, 250 გრამი პურის არაყი. ნაღები საჭირო არ არის.

ცილის რძე შეგიძლიათ ისე იხმაროთ, როგორც ლოსიონი, ე. ი. ამ ხსნარით შეიძლება სახე დღეში რამდენჯერმე გადაიწმინდოთ (პირის დაბანვის მაგიერ).

მუქი (პიგმენტური,) ლაქების მოშორება მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. ამისთვის კანის ღრმა აქერცვლაა საჭირო, რომელიც უეჭველად ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ან კოსმეტიკურ კაბინეტში უნდა ხდებოდეს.

თუ პიგმენტური ლაქები გაქვთ, მაშინ იმ დაავადებას უნდა უმკურნალოთ, რომლისგანაც ეს ლაქებია გამოწვეული. კარგ შედეგს იძლევა მკურნალობა ვიტამინ C-თი, რომელსაც შეიცავს ლიმონი, ფორთოხალი, ასკილი და სხვა. თუ თქვენ განწყობილი ხართ ლაქებისადმი, უნდა ერიდოთ მზის სხივებს და თებერვლიდან შემოდგომამდე სახე დაიცვათ ვუალით, ქოლგით, დიდი ფარფლებიანი ქუდით, შავი სათვალეებით. მზიან დღეებში კი გარეთ გამოსვლის წინ წაისვით მზისგან დამცველი კრემები, რომლებიც სალოლს და ხინას შეიცავენ („კრასოტა“, „ლივადია“, „კრემ ოტ ზაგარა“ და „მეტამორფოზა“).

**ვალიდა ცხოვრებაშვილი,**
ექიმი—კოსმეტოლოგი.

საქ. სახელმწ. ბიბლიოთეკა თბილისი

# საუბარი მშობლებისათვის

## ბუნება ბავშვის საუკეთესო აღმზრდელია

ჩემი სახლის წინ, ეზოში კაკლის ხე დგას. ეს ხე გარშემორტყმულია ოთხსართულიანი სახლის კედლებით, ჩემი პატარა, ეტყობა, დიდი ხანია თვალყურს ადევნებს ხეს.

—გულშეწუხებულიაო ხე,—აღმოხდა ერთხელ ბავშვს, —ხედავ, როგორ წაგრძელებულა, სულ ზევით და ზევით მიიწევს...

სურვილი დამებადა გამოვსაუბრებოდი მას.

— შენ როგორ გგონია, რატომ წასულა ხე ასე მაღლა? სახურავსაც აცილებია!

—უნდა, რომ ფართოდ ამოისუნთქოს,—სწრაფად მიპასუხა ბავშვმა—წყეული კედლები ძალიან ხუთავენ და ისიც იბრძვის, რომ არ მოემწყვდეს მათ შორის, არ ჩაიხუთოს.

— დავუშვათ, ამ სახლს კიდევ დაადგან სართული, სადღა წავა ხე?—ვკითხე მე.

— მაშინ, ალბათ, კიდევ წაიგრძელებს თავს.

— რომ გადატყდეს?

ბავშვი დადუმდა, ფიქრებში გაერთო. ეტყობოდა, მისი ფიქრი ხეს არ სცილდებოდა.

კარგი შემთხვევა დავინახე ანალოგია გამეტარებინა მცენარესა და ადამიანს შორის, მაგრამ ბავშვს ხელი არ შევუშალე, აღარც ჩავთვალე საჭიროდ, ვინაიდან ვიგრძენი: თავისთავად, ინსტიქტურად შეიცნო მან არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

მე და ჩემი პატარა ხშირად ვიმყოფებით ბუნების წიაღში და ბევრ საინტერესო რამესაც ვნახულობთ.

ერთხელ ჭიანჭველა ჩიტის ფრთას მიათრევდა, ეტყობოდა ბუდისაკენ. როდესაც თავზე წავადექით, გაინაბა, მოძრაობა შეწყვიტა, შემდეგ უეცრად მოწყდა ადგილს და გაკურცხლა, ფრთა კი დაგვიტოვა.

— თავს უშველა,—თქვა პატარამ,—ეგონა მოვკლავდით. ჭიანჭველა ასეთ ფრთას კიდევ ბევრს მონახავს, ოღონდ ცოცხალი იყოს და...

— ცოცხალ ადამიანს, აბა, რა გაუჭირდება, ოღონდ გაისარჯოს,—დავუმატე მე. - სიცოცხლისათვის კი სიფრთხილე აუცილებელია.

შევატყვე, ყოველივე ეს უსიტყვოდ იგრძნო ბავშვმა.

ბუნებაზე დაკვირვება, მის წიაღში ყოფნა ბავშვისათვის კარგი გაკვეთილია, მისი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ერთხელ ჩვენ ხეებით დაბურულ ეზოში ვისხედით. ჩიტების ჟღურტული ჩვენს ყურთასმენას ატკბობდა. უცებ გაისმა ჩიტის გულშემზარავი ჩხავილი, ფრინველთა ჟღურტულიც საშინელმა აურზაურმა შეცვალა. ერთი ჩიტი ისარივით დაესო ბუჩქზე. ჩვენც იქითკენ გავიქეცით. ჩვენი ეზოს მსუნაგ კატას პირი ჩაევლო საბრალო ბარტყისათვის და შესაჭმელად მიარბენინებდა. ჩვენ მაშინვე დავედევნეთ კატას და ბარტყი დავაგდებინეთ.

მკვდარი ფრინველი ავიღეთ და ბუჩქის ტოტზე შემოვდეთ. ცოტა ხნის შემდეგ სიჩუმე დედა-ფრინველის გაბმულმა კვნესამ დაარღვია.

მას შემდეგ ჩვენს ეზოს ჩიტები აღარ გაჰკარებიან.

ეტყობა, ეს ამბავი ჩემს პატარას გულში ღრმად ჩარჩა.

— ჩიტები ჩვენს ბაღში აღარ დაფრინავენ,—გულდაწყვეტით მითხრა ერთ დღეს.

— სულ ამ წყეული კატის ბრალია, მოდი, გავაგდოთ სახლიდან,—ვურჩიე.

ბავშვი დადუმდა. ეტყობოდა არ მეთანხმებოდა.

— კატას ბუნებამ ბასრი ბრჭყალები და მჭრელი კბილები მისცა.

— ჩიტს ეს არა აქვს, მაშინ, რა უნდა ქნას უმწეო ფრინველმა?

— თავი უნდა დაიცვას,—მიპასუხა ბავშვმა.

— მართალი ხარ. მეტი სიფრთხილე და დაკვირვებულობა უნდა გამოიჩინოს, რომ საძაგელ მტაცებელს კბილებში არ ჩაუვარდეს,—ვუთხარი.

ვიგრძენი, რომ ბუნებაში მომხდარმა ამ პატარა ტრაგედიამ ბავშვი ცხოვრებაში არსებულ წინააღმდეგობაში გაარკვია.

— დედასთან მიეჩქარებაო,—მითხრა ერთხელ ბავშვმა, როდესაც ხის პატარა გომბეშოს ავედევნეთ. მაშინ ბავშვს დედის თბილი კალთა წარმოუდგა და ის წუთები, როდესაც დედა ასევე მიელის მას და იკრავს გულში. ამ ანალოგიამ ოჯახისადმი თბილი გრძნობა გაუღვივა ბავშვს. და რამდენი ასეთი კარგი და ჭკუის სასწავლი მაგალითები შეიძლება იპოვოს ბავშვმა ბუნებაში.

სამწუხაროდ, ქალაქის ბავშვები მეტწილად შინ არიან ჩაკეტილნი. ზოგიერთი დედა ხშირად დერეფანშიაც არ უშვებს ბავშვს — გამიცივდება, მოსავლელი გამიხდებაო, «დროს ვერ შოულობს» გაიყვანოს ბავშვი ქალაქგარეთ ან ქალაქის მშვენიერ ბაღებსა და პარკებში, ასუნთქოს სუფთა ჰაერი და გაართოს ტკბილი, აზრიანი საუბრით. ასეთი მშობელი ადვილად თანხმდება წაიყვანოს ბავშვი მისთვის შეუფერებელი კინოსურათის სანახავად, სადაც ბავშვს ეღლება ნერვები, უსუსტდება ენერგია, აკლდება ჯანი...

ბუნებაზე უშუალო დაკვირვების გარდა ბავშვის აღზრდაში მშობლებს დაეხმარებათ ლიტერატურა ბუნების შესახებ. მსოფლიოში ბევრი არ არის ამ მხრივ ისეთი ნაწარმოები, როგორც არის ვაჟა-ფშაველას «ამოდის!... ნათლდება!..», «შვლის ნუკრის ნაამბობი», «როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე ბუები», «სათაგური», «ბუნების მგოსნები», «ჩხიკვთა ქორწილი»...

დიდ დახმარებას გაუწევს მშობლებს აგრეთვე კრებული: «მშობლიურ ბუნებაში» (1956 წლის გამოცემა). ირ. აბაშიძისა და გრ. იმედაძის მშვენიერი ლექსები ფრინველებზე და თევზებზე.

უმდიდრესი მასალაა აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ნარკვევები ტყისა და საერთოდ ბუნების შესახებ. ისინი გაბნეულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საბავშვო გამომცემლობა «ნაკადული» კარგ საქმეს იზამს, თუ თავს მოუყრის მათ და ერთ წიგნად გამოსცემს.

საქართველოს ფლორა და ფაუნა, ბუნების საიდუმლოებანი, მის წიაღში წარმოებული კვლევა-ძიება ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. მწერლებმა არ უნდა დაიზარონ ამ თემებზე წერა.

გარდა იმისა, რომ ბავშვი ბუნების მაგალითებზე მორალურად იზრდება და ფაქიზდება, იგი აგრეთვე ეჩვევა ბუნების დაცვას, მის გამოყენებას და მოვლას.

**ბაბო მჭედლიძე,**

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიში

ზოგჯერ, ერთი შეხედვით თითქოს უმიზეზოდ, ბავშვს უცებ შეაშინებს რაიმე უვნებელი საგანი ან მოვლენა.

ერთს აშინებს სიბნელეში დარჩენა, მეორეს —კარდახშულ ოთახში, მესამე ვერ ბედავს გადაჭრას გაშლილი მინდორი ან მოედანი, მეოთხე სავსებით უწყინარი ცხოველის მოახლოვებისას ტირის და ცახცახებს, მეხუთე თავისდაუნებურად მივარდება დედას და სთხოვს დაიფაროს იგი რაღაც უხილავი საფრთხისაგან და ამ დროს არ შველის არავითარი დარიგება, დამშვიდება და დასჯა გადალახოს ეს შიში.

რა იწვევს ასეთი აკვიატებული შიშის წარმოშობას? ეს მიზეზები ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითებით:

ექვსი წლის ბიჭუნას აშინებს ფიცრული ღობე, მას არ ძალუძს მშვიდად ჩაუაროს ასეთ ღობეს. რაშია საქმე? როგორც გამოირკვა, ჯერ კიდევ 2,1/2 წლისა იყო ბავშვი, როცა ფიცრული ღობის იქედან გამოვარდა ძაღლი, რომელმაც ძალიან შეაშინა. თვითონ ბავშვს ეს ამბავი აღარც კი ახსოვს. მაგრამ ღობე , რომელსაც დაუკავშირდა დიდი შიშის განცდა, გონებაში მტკიცედ ჩაებეჭდა და მისი დანახვა უკვე ავტომატურად იწვევს ბავშვში გადატანილი შიშის გრძნობას. აი, მეორე მაგალითი: სამი წლის გოგონას ხავერდის დათუნების ეშინია. როგორც გამოირკვა, ეს შიში მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მან ერთხელ გულში ჩაიკრა დათუნია და ეჩხვლიტა ნემსი, რომელიც ვიღაცას შემთხვევით დაებნია სათამაშოზე.

ამრიგად, აკვიატებული შიში ჩვეულებრივ ჩნდება მაშინ, როცა შიშის გამომწვევი მოვლენა დაემთხვევა რაიმე უვნებელ საგანსა თუ მოვლენას, რომელიც შეშინების დროს მოხვდა ბავშვის მხედველობის არეში. შემთხვევითი, გარეგნული კავშირი მოვლენასა და საგანს შორის, ბავშვს რომ გონებაში ჩაებეჭდა, იწვევს იმას, რომ მერე თვით საგანი ხდება შიშის აღმძვრელი.

ასეთივე მექანიზმით ვითარდება სხვა აკვიატებული ზნეც. მაგალითად, ბავშვს, რომელმაც ზომაზე მეტი საჭმელი მიიღო და პირსაღებინა, ყოველთვის შეიძლება დაეწყოს პირღებინება, როცა მაგიდასთან დასვამენ. მაგრამ თუ შევუცვლით გარემოს, მაგალითად, ადგილს მაგიდასთან, სუფრას, ჭურჭელს და ა. შ. პირღებინება შეიძლება შეუწყდეს და აღუდგეს ნორმალური მადა.

ყოველ ბავშვს შეიძლება აეკვიატოს შიში რომელიმე უვნებელი საგნისადმი, თუ კი ამ საგნის სახე დაემთხვა მისთვის უსიამოვნო მოვლენას. ჩვეულებრივ შიში წარმოექმნება ბავშვს, რომელსაც შესუსტებული აქვს ნერვიული სისტემა ინფექციური დაავადების გადატანის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო.

უმეტეს შემთხვევაში აკვიატებული შიში სწრაფად გაივლის, მაგრამ იგი მტკიცდება და მყარდება, როცა თვით მშობლები დაფრთხებიან და ამახვილებენ ბავშვის ყურადღებას. უფრო ცუდია, როცა უფროსები ცდილობენ ძალით აიძულონ ბავშვი გადალახოს შიშის გრძნობა.

---

იბეჭდება შემოკლებით.



მეორე უკიდურესობაში გადავარდნაც არ შეიძლება, სახელდობრ, არ არის საჭირო შევუქმნათ ბავშვს განსაკუთრებული რეჟიმი, ვეალერსოთ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ბავშვებს, მივცეთ ყველაფრის უფლება და ვაპატიოთ ყველაფერი. ასეთ პირობებში უფრო ძლიერდება ნერვიული აშლილობა, რადგან ბავშვი მასში ხედავს გარკვეულ სარგებელს.

ბავშვი რომ გავათავისუფლოთ აკვიატებული შიშისაგან, უპირველეს ყოვლისა საჭიროა «შევარყიოთ» ის შემთხვევითი კავშირი, რის საფუძველზეც აღმოცენდა შიში და შევქმნათ ახალი კავშირები (რეფლექსები), რომლებიც გააუმჯობესებენ ბავშვის განწყობილებას. ამ მიზნით შევეცადეთ ბავშვის შეუმჩნევლად, შემაშინებელი მოვლენა დაუკავშიროთ მისთვის სასიამოვნო განცდებს.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

რვა წლის გოგონას თხის ეშინოდა (მას შემდეგ, რაც მას ერთხელ თხა დაედევნა). თვითონ გოგონას კარგად ესმოდა თავისი შიშის უსაფუძვლობა, მაგრამ მისი ჩახშობა მაინც არ შეეძლო. ჩვენი რჩევით, ბავშვს პატარა ციკანი აჩუქეს. ციკანს იგი თვითონვე უვლიდა და ძალიანაც შეეჩვია. როცა ციკანი გაიზარდა, გოგონას თხებისადმი შიშის გრძნობაც გაუქრა.

6 წლის ბიჭუნას გაფენილი ზეწრების ეშინოდა, როცა გავიგეთ, რომ იგი დიდიხანია ოცნებობს ლეკვზე, მშობლებს ვურჩიეთ გაფენილი ზეწრის უკან დაემალათ მისთვის ნაყიდი ლეკვი. როცა ბავშვმა გაფენილი ზეწარი შეამჩნია, ჩვეულებისამებრ შეშინდა და კუთხეში მიიყუჟა. უცბად ზეწრის იქედან გამოხტა დიდიხნის ნანატრი ლეკვი, ბავშვი მას სიხარულით დაედევნა და მას შემდეგ გაფენილი ზეწრის აღარ შეშინებია.

აკვიატებული შიშის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს შიში ღამით. იგი უვითარდებათ აღგზნებული ბუნების ბავშვებს, უმთავრესად 2-დან 6 წლის ასაკამდე. ბავშვი იღვიძებს ღამით, ჯდება საწოლზე, იწყებს ტირილს და კანკალს, საშველად უხმობს მშობლებს ამ დროს მისი გონება დაბინდულია, ასეთი მდგომარეობა გრძელდება რამდენიმე წუთს, რის შემდეგ ბავშვი ისევ მშვიდად იძინებს.

მართალია ღამის შიში თავგზას უკარგავს ზოგიერთ მშობელს, მაგრამ სინამდვილეში იგი ბავშვისათვის არავითარ საფრთხეს არ შეიცავს. საერთოდ ასეთი ბავშვი უნდა მოვარიდოთ მძაფრ შთაბეჭდილებებს, განსაკუთრებით დაძინებამდე ერთი-ორი საათით ადრე. ყველაზე კარგია ძილის წინ ბავშვი გაატაროთ სუფთა ჰაერზე, არ დააშინოთ მხეცებით, საფრთხობელებით.

შეშინებულ ბავშვთან უნდა მოიქცეთ მშვიდად და თავდაჭერილად. არ ვარგა, როცა დედა აღელვებული ხმით ცდილობს დააწყნაროს ბავშვი, იკრავს გულში, გადაყავს თავისთან საწოლში. ნახევრადმძინარე, გონებადაბინდულ ბავშვს, კიდევ უფრო უძლიერებს შიშის გრძნობას უფროსების აფორიაქება. ბავშვს უნდა უთხრათ უბრალოდ:

—იძინე. ნუ მიშლი ძილს. არაფერიც არ არის. ყველაფერი ეს შენ დაგესიზმრა.

ამასთან შეგიძლიათ ოდნავ შეანჯღრიოთ კიდეც ბავშვი. შემდეგ დატოვეთ თავის საწოლში, რომ დაიძინოს.

ჩვეულებრივად, ღამის შიში სწორი მიდგომით და პატარა მკურნალობით სწრაფად გაივლის.

**ს. ფაინბერგი,**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ჟურნალიდან „სემია ი შკოლა“.**



# ბაგა-ბაღი

საბჭოთა ქალი დედა ჩვენს ქვეყანაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა მოსილი. ღამრავი ღონისძიება ტარდება დედის შრომის შესამსუბუქებლად. მილიარდები იხარჯება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დასახმარებლად. იმისათვის, რომ ქალს საშუალება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს საწარმოო, სახელმწიფოებრივ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები მოფენილია ისეთი დაწესებულებებით, რომელნიც უადვილებენ მას შვილების აღზრდას. მრავალი საბჭოთა ქალის მკერდი დამშვენებულია გმირი დედის საპატიო ორდენით.

მორიგი სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით—«საბავშვო-სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ».

ამ დადგენილების შესაბამისად ამიერიდან ბავშვთა აღზრდა აღარ იქნება სხვადასხვა უწყებების ხელში. ეს დიდი და საპატიო საქმე დავალებული აქვს განათლების ორგანოებს. ერთიანდება ორი სკოლამდელი დაწესებულება—ბაგა და ბაღი ერთიან სკოლამდელ დაწესებულებად—ბაგა-ბაღად. ეს ახალი ტიპის, სახელმწიფო საალმზრდელო დაწესებულება განათლების ორგანოების გამგებლობაში იქნება. ამ ღონისძიების მთავარი მიზანია დედისა და ბავშვისადმი ზრუნვის კიდევ უფრო გაძლიერება. დედას აღარ მოუხდება თავისი პატარების ტარება ცალკე ბაგასა და ცალკე ბაღში.

დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში ამ ორი ტიპის საბავშვო დაწესებულების გასაერთიანებლად. საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ შესწავლილ იქნა ყველა ქალაქსა და რაიონში არსებული საბავშვო ბაგებისა და ბაღების სამეურნეო-მატერიალური ბაზა, კონტიგენტი და გაერთიანებისათვის საჭირო სხვა პირობები. ამჟამად რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქვს 354 საბავშვო ბაგა 12.605 ბავშვით, ხოლო განათლების სამინისტროს—279 საბავშვო ბაღი 20.982 ბავშვით. სულ 633 ბაგა და ბაღი 33.587 ბავშვით.

გათვალისწინებულ იქნა გარემოება, რომ ერთიანი სკოლამდელი დაწესებულება ბაგა-ბაღი ახალი ტიპისაა და მისი მუშაობის გამოცდილება არა გვაქვს, ამიტომ, მიმდინარე, 1960 წელს გადაწყვეტილი გვაქვს გვქონდეს მხოლოდ 15 ბაგა-ბაღი 1.765 ბავშვით, აქედან 7—თბილისში, 2—სოხუმში, ხოლო თითო—დუშეთში, თელავში, თიანეთში, წყალტუბოში, ტყიბულსა და წითელწყაროში, სახალხო მეურნეობის გეგმით ბაგა-ბაღების რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება და 1965 წლისათვის გვექნება 59 ბაგა-ბაღი 7.965 ბავშვით.

დამუშავდა ბაგა-ბაღის დებულება, დამტკიცებულია შტატები და დასახელებული 15 ბაგა-ბაღი უკვე სრულიად მომზადებული შეუდგა მუშაობას.

უდიდესი ამოცანებია დასახული ერთიანი სკოლამდელი დაწესებულების წინაშე.

ბაგა-ბაღი წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრივი აღზრდის სახელმწიფო დაწესებულებას, რომელშიც ჩაირიცხებიან ბავშვები 2 თვის ასაკიდან 7 წლამდე. ეს დაწესებულება მოწოდებულია იზრუნოს ბავშვების ჯანმრთელობაზე, უზრუნველყოს მათი სწორი ფიზიკური განვითარება, პატარებს მოუწყოს სრულღირებული და რაციონალური კვება, გააკაჟოს ბავშვის ორგანიზმი, განუვითაროს მას გონება, მეტყველება, ხასიათი და სხვა.

ბაგა-ბაღი სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწორი აღზრდის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს და ეხმარებოდეს მშობლებს სათანადოდ წარმართონ ბავშვების აღზრდა ოჯახში. ამ დაწესებულებებში ბავშვების აღზრდის საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრებათ, როგორც პედაგოგებს, ასევე სამედიცინო პერსონალს.

ბაგა-ბაღში ბავშვების ყოფნის ხანგრძლივობა დღის განმავლობაში განისაზღვრება 10 საათით, ხოლო იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლებიც ღამის ცვლაში მუშაობენ და მათი მომვლელი ოჯახში არავინა ჰყავთ, შეიქმნება სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც ბავშვები მთელი კვირის განმავლობაში იქნებიან, გარდა გამოსასვლელი დღისა. ბაგა-ბაღში ბავშვების კვება მოეწყობა 3-4-ჯერ.

ამჟამად გაერთიანებული საბავშვო დაწესებულებები მუშაობენ საბავშვო ბაგის და ბაღის არსებულ შენობებში. წელსვე დაიწყება სპეციალური შენობების აგება, უკვე შემუშავებული და დამტკიცებული ტიპიური პროექტების მიხედვით. როგორც ბაგა-ბაღის დებულება ითვალისწინებს, თვითეული ჯგუფისათვის შენობაში განკუთვნილი იქნება ცალკე მისაღებ-გასახდელი, სამეცადინო ოთახი, პირსაბანი ოთახი თავისი სათავსოებით. ამასთან ახლადაგებულ შენობაში გათვალისწინებული იქნება შესაფერი ფართობის საძინებელი ოთახები—ვერანდები.

ბაგა-ბაღს ექნება გამწვანებული და კეთილმოწყობილი ეზო სათამაშოდ, ჰაერზე მეცადინეობისა და სეირნობისათვის.

ბაგა-ბაღის ძირითადი ტიპი იქნება 7-ჯგუფიანი დაწესებულება, რომელიც დაკომპლექტდება ასაკის მიხედვით. საერთოდ კი შეიძლება არსებობდეს 2, 3, 4 და ა. შ. ჯგუფიანი ბაგა-ბაღი, რომელსაც ეყოლება ტიპიური შტატი და დაფინანსდება კონტიგენტის შესაბამისად.

უდიდესი ამოცანებია ახალი სკოლამდელი დაწესებულების—ბაგა-ბაღების მუშაკთა წინაშე. განათლების ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი ხვალინდელი დღის, კომუნიზმის მომავალი მოქალაქეების სწორად აღზრდის საქმეში.

ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბრიელა მისტრალი



ჩვენი მკითხველი ამ მცირე თარგმანით გაეცნობა ჩილიელ დიდ პოეტ ქალს გაბრიელა მისტრალს.

იგი პირველად 1914 წელს გამოჩნდა ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში, სადაც სრულიად უცნობმა მასწავლებელმა ქალმა ლუსილა გოდოიმ გაბრიელა მისტრალის ფსევდონიმით ლიტერატურულ კონკურსზე პირველი პრემია მიიღო, საოცრად ღრმა და სევდიანი «სიკვდილის სონეტებით».

გაბრიელა მისტრალმა დიდი ხელოვანის გუმანით იგრძნო ტკივილები ყოველი დედისა და ყოველი ქალისა. «მომეცი ძალი ვიყო დედა დედაზე მეტად, რომ მიყვარდეს და დავიფარო, რასაც ისინი დაჰფრფინვიან, რაც არასოდეს არ ყოფილა სისხლი ჩემი და ხორცი ჩემი», —ამბობდა იგი და შესწევდა კიდეც ძალი თქმისა.

1945 წელს გაბრიელა მისტრალს შვეციის სამეფო აკადემიამ ნობელის პრემია მიანიჭა.

სამხრეთ ამერიკის დიდი პოეტი უპირველეს პოეზიას ცხოვრებაში ხედავდა. თითქმის მთელი სიცოცხლე მასწავლებლობდა, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში, იბრძოდა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის—მშვიდობისათვის.

1956 წელს, 67 წლისა, გარდაიცვალა.

მისი მოწაფე ქალაქ ტემუკოს სკოლიდან და მისი მოწაფე პოეზიაში, ცნობილი ჩილიელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე პაბლო ნერუდა გაბრიელა მისტრალზე წერდა: «ჩემს ქვეყანაში ბევრი პოეტია, ბევრი პოეტია ლათინურ ამერიკაში, მაგრამ ძნელია დაიჯერო, რომ ოდესმე ჩვენში დაიბადება პოეტი ასეთი დიდი ტალანტისა და დიდი სულისა.

ჩვენ კიდევ ბევრ ლამაზ ხმას მოვისმენთ. მოვისმენთ უფრო მხიარულ სიმღერებსაც, მაგრამ ეს ხმა სამუდამოდ დადუმდა და აღარ აჟღერდება».

## დედათა პოემები

### როგორი იქნება შვილი ჩემი

როგორი იქნება შვილი ჩემი? დიდხანს დავცქერდი ვარდის ფურცლებს და შეფრფვინვით ვეფერებოდი. როგორ მინდა, რომ მისი ღაწვნი ასე სათუთი და ნაზი იყოს. მიგეფოფინე მაყვლის ბუჩქსაც, როგორ მინდა, რომ მისი თმები მაყვალივით ხვეული და შავ-შავი იყოს. მაგრამ თუ მისი სახე თიხის ფერი იქნება, წითელი თიხის, მექოთნეებს ძალზე რომ უყვართ და თმებიც ისე უბრალო და სადა ექნება ვით უბრალოა ცხოვრება ჩემი, რა ვუყოთ მერე, ეს ხომ მართლაც არაფერს ნიშნავს.

მე მთას შევცქერი და მთებს შორის გაშრილ ხეობებს, როცა ისინი ბურუსით იფარებიან. მე ეს ბურუსი ნაზ და ლამაზ გოგოს მაგონებს, რა ვუყოთ მერე, იყოს გოგონა.

მაგრამ მთავარზე მთავარია, რომ ბავშვსა ჰქონდეს ისეთი ნაზი გამოხედვა, როგორითაც მეუღლე მიცქერს, რომ მის ხმაში მე მესმოდეს ის ჩუმი თრთოლვა, როგორითაც ჩემი ქმარი მესაუბრება, რადგან მინდა, რომ ნალოდინევ ჩემს პირმშოში მიყვარდეს იგი, ვინაც მკოცნიდა.

### მარადიული ტკივილი

მე ფერსა ვკარგავ, როდესაც იგი ჩემში იძვრის. მე მისი ბორგვით ავადა ვარ. მე შეიძლება მოვკვდე მისი მოძრაობისგან, მისი, რომელსაც ვერა ვხედავ და ჩემში კი არის.

არ იფიქროთ, რომ გამიაროს მე ამ ტკივილმა. არ იფიქროთ, რომ მე დამშორდეს იგი, როცა ჩემში აღარ იქნება. როცა ის შარა-გზებზე წავა, შორ გზას გაჰყვება, ქარი, რომელიც მას დაუბერავს, დაჰფლეთს ჩემს ტანსაც, და ამოკვნესა ჩემი ბავშვის, აღმოხდება ჩემს ბაგეებსაც.

ჩემი ტირილიც და სიცილიც შენს სახეზე დაიბადება, შვილო ჩემო!

### მისი გულისთვის

მისი გულისთვის, ბალახებში მიმალული წყაროსათვის, რომელსაც სძინავს, ნურაფერს მავნებთ, ნუ დამძალავთ ბევრი შრომითა და მაპატიეთ ყოველივე—ის, რომ საჭმლის უმადური ვარ და ისიც, რომ ხმაურს ვერ ვიტან.

მერე მითხარით ყველაფერი ოჯახისა—ავბედობა, სიღარიბე და საზრუნავი, მერე მითხარით, როდესაც მას ჩვრებში გავახვევ.

ხელი შეახეთ გინდ შუბლს ჩემსას და გინდ მკერდს ჩემსას, იგი იქ არის, ის დაიკვნესებს, ისე თითქოს ჭრილობისა იყოს ეს კვნესა.

### ჭეშმარიტი სახე მიწისა

მე არ მენახა ჭეშმარიტი სახე მიწისა. დედამიწა თურმე ქალსა ჰგავს ბავშვით ხელში.

მე ყოველ ნივთის დედურ არსს მივხვდი. აგერა ის მთა—მე რომ მიყურებს, იგიც დედაა. მის კალთასა და მხრებზე თამაშობს ვითა ჩვილი ნისლი ღამისა.

მე მაგონდება ბარში ახლა ერთი ხეობა. იქ, სადღაც დაბლა, ნაკადული მირაკრაკებს, კლდითა და ქვებით დაფარული, სხვისთვის უჩინო, მეც ხომ ისე ვარ ვით ხეობა. მე ჩემ სხეულში წყაროსა ვგრძნობ და ვითა კლდემა, მას მივეცი ჩემი სხეული, სანამდის იგი სინათლისკენ გზას არ გაიგნებს.

### წმიდა კანონი

ამბობენ, თითქოს სიცოცხლე ოდნავ ფეთქავდა ჩემს სხეულში, ძარღვებიდან კი სისხლმა ისე იდგაფუნა, გეგონებოდათ, რომ ყურძენი დაუწურავთო საწნეხელში, მაგრამ მე თვითონ საოცარი სიმსუბუქე მკერდში ვიგრძენი—თითქოს ერთი ღრმად და ძალუმად ამომესუნთქოს.

— განა მე ვინ ვარ—ვუთხარ ჩემ თავს—რომ ძე ჩემი კალთაში მესვას?

და თვით აღმოვსთქვი:

— დედაკაცი, ვისაც უყვარდა, ვის სიყვარულიც პირველ კოცნასთან მარადისობას დაეწაფა.

დედამიწა მე შემომყურებს და ძესა ჩემსა, ხელში რომ მყავს ატატებული და მადიდებს მე დედამიწა, რადგანაც ისე ნაყოფიერი და წმიდა ვარ ვით პალმის ხე და ხნული მიწისა,

## პოემები მწუხარე დედისა

### განრიდებული

მამამ ჩემმა მითხრა, რომ გამაგდებს მე, მან უყვირა დედას ჩემსას, რომ გამაგდებს მე ამავე ღამით.

ღამე გრილია, ვარსკვლავთა შუქზე მივაღწევდი ახლობელ სოფელს, მაგრამ რა ვუყო თუ ის ამ დროს დაიბადება? იქნებ ქვითინი ჩემი და რუდუნება მას ეძახის, იქნებ მას უნდა ქვეყნად მოვლენა, რომ ჩემი სახე, ცრემლთაგან სველი, თვითონ იხილოს. იგი მოვა და მე დავათბუნებ, მაგრამ მას მაინც აათრთოლებს ნესტიანი და სუსხი ქარი.

### რაისთვის მოხვედ?

რაისთვის მოხვედ? ლამაზი ხარ, მაგრამ არავის არ ეყვარები, ძეო ჩემო. შენი ღიმილი უებროა, ვით ღიმილი ყველა ბავშვისა, ვით ღიმილი ძმისა ჩემის, მაგრამ არავინ, ძეო ჩემო, არ გაკოცებს ჩემ ბაგეთ გარდა. ელაციცება შენი ხელი სათამაშოებს, მაგრამ შენ მხოლოდ მკერდით ჩემით და ცრემლთა მძივით გიწევს თამაში, ძეო ჩემო.

რაისთვის მოხვედ, თუ იგი ვინც შენ მოგავლინა ამა ქვეყნად, შეგიძულებდა, იგრძნობდა რა ჩემს სხეულში შენს მოძრაობას?

თუმც არა, არა! შენ ჩემთვის მოხვედ, მე ხომ მუდამ ეული ვიყავ, ეული ვიყავ მაშინაც კი, როდესაც იგი მეხვეოდა, ძეო ჩემო!

თარგმანი **კოკა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ლ. გუდიაშვილისა

# ძველი ქართველი პოეტი ქალები

მერი გუგუშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქართველმა ქალებმა უდიდესი ღვაწლი დასდეს ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის შექმნის საქმეს. ისტორიული წყაროები გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რომ ქართველი ქალები მწიგნობრები, გადამწერ-კალიგრაფები, მთარგმნელები, ბიბლიოფილები, პოეტები და მწერლები ყოფილან. მაგრამ ჟამთა მსვლელობას და საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიას წაუშლია მათი შემოქმედების უმთავრესი ნიმუშები და სამუდამოდ დაუკარგავს იგი შემდგომი თაობებისათვის. სამუდამოდ დაკარგულა ჩვენთვის დაბალი წრის ქალთა შემოქმედების ალბათ საკმაოდ მრავალმხრივი პროდუქცია. თუმცა თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს ხალხურ შემოქმედებას, აშკარად გამოვარჩევთ მასში ქალის წვლილს. ისტორიას კი შემოუნახავს მხოლოდ დიდი მწიგნობრების, მეცენატებისა და პოეტი ქალების სახელები... და განა მარტო სახელები? ზოგიერთის შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებიც.

«ნინოს ცხოვრებას» (მე-9 საუკუნე) უკვდავუყვია ორი ძველი ქართველი მწიგნობარი ქალის სალომე უჯარმელისა და პეროჟავრი სივნიელის სახელი.

მე-11 საუკუნიდან ჩვენამდე მოუღწევია ბაგრატ IV-ის მეუღლის ბორენა დედოფლის შემოქმედების ერთ ნიმუშს. ეს ლექსი წარწერილია ლენჯერის (სვანეთი) მაცხოვრის ეკლესიის ოქრომჭედილ ხატზე. ლექსი იამბიკოა, გამართული რითმით. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული პოეზიის ისტორიისათვის.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხატზე, რამდენ ქვაზე იყო წარწერილი ქალთა შემოქმედების ნიმუშები. ჟამთა მსვლელობას გადაურეცხავს, მიწას დაუფარავს და მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისის სახით შემოგვრჩენია ბორენას პოეტური შემოქმედების ნაყოფი.

ბევრ სხვასთან ერთად უგზოუკვლოდ დაკარგულა მე-17 საუკუნის პოეტი ქალის ფომინისია ბერიძისა და «მხატვრისა და მომღერლის» როდია მიქელაძის შემოქმედების ნიმუშები, რომელთა სურათები მოკლე წარწერებით ქრისტეფორე კასტელის ალბომს შემოუნახავს. სულ რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალ «საბჭოთა ხელოვნებაში» გამოქვეყნდა შ. ონიანის ვრცელი წერილი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების შესახებ. როგორც ჩანს, ეს წარწერები XV-XVI საუკუნეებს ეკუთვნის და მისი ავტორები ამ მონასტრის მონაზონი ქალები ყოფილან.

მე-17-18 საუკუნეებიდან მოუღწევია ჩვენამდე რამდენიმე პოეტი ქალის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს. ვაქვეყნებთ მათ მოკლე პორტრეტებს.

## ქეთევანი
## 1575—1624

აშოთან მუხრანბატონის ასული ქეთევანი დაიბადა 1575 წელს. იგი იყო სახელოვანი პოეტის თეიმურაზ I დედა. 1614 წელს ქეთევანი დაატყვევა და თეიმურაზის ვაჟებთან ერთად მძევლად წაიყვანა შაჰ-აბასმა. ათი წელი დაჰყო ქეთევანმა ტყვეობაში. 1624 წლის 14 სექტემბერს წამებით მოჰკლეს იგი შირაზში. ქეთევანის წამების ამბავი ბევრმა აღწერა. მათ შორის მისმა შვილმა თეიმურაზ პირველმაც.

საქართველოს ისტორიამ ეროვნული გმირი უწოდა მას, ხოლო ეკლესიამ წმინდათა შორის შერაცხა ქეთევანი თავისი ტრაგიკული თავგადასავლის გამო.

ქეთევანის შემოქმედებიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთ ლექსს მოუღწევია. ეს ლექსია მეტად მგრძნობიარე «ანბანთქება ფისტიკაური», რომელიც ქეთევან დედოფალს უთქვამს შაჰ-აბასის ტყვეობაში. ამ ლექსში ქეთევანი მოსთქვამს, რომ მას წილად ხვდა „სვე უბედური», მოშორდა «ლხინი და შვება» და ამიტომ «ცრემლის დენა ძნელად შრება». ეს ლექსი დამახასიათებელია მე-17-18 საუკ. ქართული პოეტიკისათვის, როგორც ვერსიფიკატორული და ვირტუოზობის ნიმუში (ლ. ასათიანი).

### ანბანთქება ფისტიკაური

აჰაჲ ვსცერი ბნელსა მჯდომი,
გულთა მდუღრად დადაგული.
ესრეთ ვეშა ვის მოეშა,
ზედი-ზედა ჰე დართული,
თუალნი ჩემნი ისრეც ირწყვის,
კმარის მისგან ლამეშული,
მილად მოდის, ნაკადულად,
ოდეს ნახოს ჰკურეშული.
ჟამნი ჩემნი გაშოვწყლილე,
რაჲ როდესმე სული მეყოს
ცყემა ვიწყე უთვალავნი,
ალოშა მიჯომს ესრეთ მეყოს.
ძეჳა სოფელს, წამს საყოფელს
ლიმილიცა გარამეყოს.
ყველაჲ უმერთი განმამარცხებს
შიშთა მისთა ხელი მიმეყოს.
ჩამოემა სჯე უმედური,
ცრემლის დენა ბნელად მრეშა.
წყარო თვალთა, ჭმუნვით მყოფთა,
ხარმად დენით გადმოჩქრეშა.
ჭორცნი ლაწჳთა ჯავრმან დაწვნა,
წარხდეს ელვათა მჳენიერეშა.
ჯაი, მომშორდა ლხინი და შვება,
თი, წამიხდა სახიერება!

# მარიამ ბუკისციხელი

გურია-აჭარის სამეცნიერო-ისტორიულ ექსპედიციაში ყოფნის დროს მოვისმინე ლექსი მიძღვნილი ვინმე მარიამ ბუკისციხელისადმი:

„ბუკისციხელი მარიამ
სახელგანთქმული ქალია.
სხვენიდან თავზე მიუშვა
თათრებს მდუღარე წყალია,
რჯულზე დამდუღრა წყეულნი
ოსმან-აღა და ალია...“

ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ბევრი ქართველი ქალის სახელი და საგმირო საქმეები შემოუნახავს, მაგრამ ბუკისციხელი მარიამის შესახებ აქ პირველად გავიგონეთ. ამიტომ დავინტერესდით და აი, რა მოგვითხრო მის შესახებ მცხოვანმა მანდილოსანმა მ. ქორიძემ:

მარიამი სიხარულიძის ქალი ყოფილა. მისი ქმარი ყმა-გლეხი იყო. მას ახალწლის წინა ღამით სახლში გაშვება უთხოვია ბატონისთვის, მაგრამ ბატონს უარი უთქვამს და ის იძულებული გამხდარა გაპარულიყო. ბატონს მისი გაპარვა რომ გაუგია, მდევრები დაუდევნებია და დაპატიმრებული უცემინებია. მოთმინებიდან გამოსულ გლეხს ვერ აუტანია ასეთი დამცირება და ბატონი მოუკლავს. მაგრამ არც მას უცოცხლია დიდხანს, ბატონიშვილებს იგი ხმლით აუკუწავთ.

ოჯახის მთელი სიმძიმე მარიამს დააწვა კისერზე. მას რამდენიმე ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც სილამაზით განთქმული ყოფილან მთელ აღმოსავლეთ გურიაში. ერთი მათგანი ბატონის შვილს წაუყვანია მოახლედ. ადამიანებით მოვაჭრენი კი თურმე გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ მარიამის ქალიშვილებს, რათა შესაფერი დრო შეერჩიათ და თურქეთში გაეტაცნათ.

ერთ საღამოს სოფელ ბუკისციხეში თურქთა რაზმი შეჭრილა. სოფელში დიდი აურზაური ამტყდარა. მარიამს ვერ მოუსწრია შვილების გახიზვნა, ისინი ფაცხის სხვენზე დაუმალავს და მაღლა ხმალი და დიდი ქვაბით მდუღარე წყალი აუტანია. თათრები შეცვენილან ფაცხაში, დაუწყიათ ქალიშვილების ძებნა. ერთ თურქს სხვენზე მარიამის უმცროსი ქალიშვილი შეუნიშნავს და კაბის ბოლოში ხელი წაუვლია, მაგრამ ამ დროს მარიამის მიერ მოქნეულ ხმალს ხელი მოუკვეთავს თურქისთვის.

თურქებმა ამხანაგის გასაჭირი რომ დაინახეს, საშველად მიცვივდნენ. ერთი სხვენზეც აპირებდა ასვლას, მაგრამ მარიამი არ დაბნეულა. მდუღარე წყლით სავსე ქვაბი გადაუპირქვავებია თურქების თავზე, მათი ყვირილი სოფელს გაუგია, მოვარდნილან ქართველი ვაჟკაცები და ერთიანად ამოუხოცავთ მტრები.

ასეთი საგმირო საქმე მარიამს არაერთხელ ჩაუდენია და ხალხს ზედმეტ სახელად «ტახი» შეურქმევია მისთვის, მის შთამომავალთათვის კი — «ტახიშვილები».

ასე შემოუნახავს ჩვენს ხალხურ პოეზიას კიდევ ერთი გმირი ქართველი ქალის სახელი.

დ. ცინცაძე.

# იუმორი

მხატვარი ა. ერაძე







უტექსტო ხუმრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიასახლისის გამოცდილებიდან

რედაქციაში ხშირად მოდის წერილები, რომლებშიც დიასახლისები გვთავაზობენ თავიანთ კულინარულ რეცეპტებს და გვარწმუნებენ, რომ ასე მომზადებული კერძი ძალიან გემრიელია. ვბეჭდავთ რამდენიმეს ამ რეცეპტებიდან. იქნებ, თქვენც გამოიყენოთ?

### წითელი ჭარხალი ტყლაპის საწებლით

მოხარშული წითელი ჭარხალი დაჭერით თხელ მრგვალ ნაჭრებად და ჩააწყვეთ თასში. ზევიდან მოასხით შინდის ტყლაპის მჟავე საწებელი, აგრეთვე მოაყარეთ წვრილად დაკეპილი ხახვი და ქინძი, დახურეთ სახურავი და ერთი ღამე ასე დატოვეთ. მეორე დღეს მიიტანეთ სუფრაზე. ასე სახელდახელოდ შემზადებული მჟავე ჭარხალი ბევრ ვიტამინებს შეიცავს და სასიამოვნო გემოსია.

### სახელდახელოდ შემზადებული საწებელი

თუ ზამთარში სხვა საწებელი არა გაქვთ, შეგიძლიათ სახელდახელოდ მოამზადოთ შინდის, ტყემლის ან მჟავე ქლიავის ტყლაპისაგან: 200 გრ ტყლაპი წვრილად დაჭერით და ერთი საათით დაალბეთ ნახევარ ლიტრ ნელ-თბილ წყალში. დამბალი ტყლაპი გაატარეთ საცერში ან ხორცსაკეპ მანქანაში და აურიეთ იმავე წყალში, რომელშიც დაალბეთ. შეანელეთ გემოვნებით, დანაყილი ნივრით, წიწაკით, ქინძით და წვრილად დაკეპილი ხახვით. ასევე სახელდახელოდ შეიძლება მოამზადოთ საწებელი ქლიავის კურკაგამოცლილი ჩირისაგან.

მ. გულიაშვილი (სოფელი კარდანახი, გურჯაანის რაიონი).

### ცხვრის ხორცი კომბოსტოთი

500 გრ კომბოსტო წვრილად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და ცოტა ხანი ასე დატოვეთ. შემდეგ გაწურეთ.

500 გრ ცხვრის ხორცი წვრილად დაჭერით და თავდახურულ ქვაბში მოხრაკეთ, დაუმატეთ 2 თავი დაკეპილი ხახვი და ისევ ხრაკეთ შეწითლებამდე. შემდეგ ჩააყარეთ უკვე მომზადებული კომბოსტო, დაუმატეთ 2-3 კოვზი პამიდვრის ტომატი, გემოვნებით—მარილი, წიწაკა და შუშეთ, ვიდრე მზად არ იქნება.

თ. ქუთათელაძე (წულუკიძე).

### სალათი

ცალ-ცალკე მოხარშეთ: 200 გრ რბილი ხორცი, 2 კვერცხი, 4 ცალი დიდი კართოფილი. შემდეგ დაჭერით პატარა კუბიკებად. ასევე დაჭერით 1 ძირი მწვანე სალათის ფოთლები და 2 მჟავე კიტრი. ამაში აურიეთ ნახევარი ქილა, წყლისაგან დაწრეტილი, დაკონსერვებული მწვანე ცერცეულა. ყველაფერი ეს შეაზავეთ მარილით და შემდეგ გემოვნებით მოასხით მზა მაიონეზი, თუ მაიონეზი ხელთ არა გაქვთ, შეგიძლიათ მოამზადოთ: მაგრად მოხარშული 1 კვერცხის გული კარგად გასრისეთ, ჩაუმატეთ 1/2 ჩაის კოვზი მარილი, 1/2 კოვზი შაქარი, დაუმატეთ 1 უმი კვერცხის გული. 1/2 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჭიქა არაჟანი, 1/2 ჭიქა ზეთი, ცოტა ლიმონის წვენი და ერთად კარგად აურიეთ.

ე. ივანოვა (სოხუმი).

### კუჭმაჭი

ღორის ან საქონლის კუჭმაჭი კარგად გარეცხეთ ძმარსა და არაყში გახსნილი სიმინდის ფქვილით (ასე იოლად ეცლება ჭუჭყი და უსიამოვნო სუნი), ნახევრად მოხარშეთ შემდეგ დაჭერით და ტაფაზე შეაწითლეთ. დანაყეთ: ნიორი, მარილი, პილპილი, ქონდარი (გემოვნებით), დამარცვლეთ ბროწეული და ერთად აურიეთ გამზადებულ კუჭმაჭში. სუფრაზე ცხლად მიიტანეთ.

ნ. ჩხაიძე (ქობულეთი).

### ცხვრის ხორცი კომშით

500 გრ ცხვრის ხორცი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად და მოხრაკეთ ქვაბში. შემდეგ დაასხით იმდენი წყალი, რომ ხორცი დაფაროს და ერთი საათის განმავლობაში შუშეთ. 3 ცალი კომში სიგრძეზე თხლად დაჭერით, მოაცალეთ კანი და გული. 2-3 თავი ხახვი დაკეპეთ და მოხრაკეთ ერბოში, შემდეგ ზემოდან მოალაგეთ კომშის ნაჭრები და ერთად მოშუშეთ. მოშუშული კომში და ხახვი გადაიტანეთ ხორციან ქვაბში, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი შაქარი, ნახევარი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი, გემოვნებით—მარილი, პილპილი და შუშეთ, სანამ მზად არ იქნება.

თ. ტყეშელაშვილი (თბილისი).

## ჩვენ გვწერენ:

დაბა **ახმეტის** უტოს უბნის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში თამარ ჭილაშვილს კარგ კოლმეურნედ იცნობენ. მან გასულ წელს 0,5 ჰექტარი ვენახის ფართობიდან 3 ტონის ნაცვლად 4, 5 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღო.

თამარმა თავი ისახელა აბრეშუმის პარკის ჩაბარებითაც. მან 4 გრამი ჭიის მურიდან გეგმით გათვალისწინებულ 10,8 კილოგრამის ნაცვლად, სახელმწიფოს 35 კილოგრამი პარკი ჩააბარა.

იგი სამართლიანად სარგებლობს ხალხის ნდობით და ამიტომაც აირჩიეს ახმეტის სადაბო საბჭოს დეპუტატად.

**ზ. ფილაშვილი,**

ახმეტა.

* * *

როდესაც მოწინავე მეაბრეშუმეზე ჩამოვარდება ლაპარაკი, სოფელ **გოჩა-ჯიხაიშის** ლენინის სახელობის წევრს სონია ჩომახიძეს ასახელებენ. 1940 წელს იგი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო, მომდევნო წელს კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის რგოლის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ ბრიგადირად დააწინაურეს.

1958 წელს სონიამ 25 გრამი მური გამოკვება და სამშობლოს 111,8 კილოგრამი პარკი ჩააბარა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65,5 კილოგრამისა.

1959 წელს მოწინავე მეაბრეშუმემ უკეთეს შედეგებს მიაღწია. გაზაფხულზე 25 გრამი აბრეშუმის მური გამოკვება, სახელმწიფოს 113,5 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა და გეგმას 56,1 კილოგრამით გადააჭარბა.

გარდა ამისა, სონია მონდომებით უვლის 0,3 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და ფოთლის კრეფის გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს. შარშანწინ 1.526 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და კოლმეურნეობაში 209,1 შრომადღე გამოიმუშავა. შარშან კი უკეთესი შედეგები ჰქონდა—სახელმწიფოს ჩააბარა 1.628 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

**გრ. გეგუჩაძე,**

წულუკიძე

გარეკანზე—ბარელიეფი, სოფლის მეურნეობა საქართველოში.

სკულპტორი თ. აბაკელია

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-60 წ. ქაღალდის ზომა 60✕92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.

პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 35.000. ფასი 3 მან.

შეკვეთის № 18. უე 00719.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკურსი

კონკურსი

კონკურსი

კონკურსი

## კონკურსი

ჩვენი ჟურნალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად აცხადებს კონკურსს საუკეთესო მოთხრობაზე, რომელშიც ნაჩვენები იქნება თანამედროვე საბჭოთა ქალი, მისი სულიერი სამყარო, შემოქმედებითი აქტივობა.

მოთხრობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილ 8—10 გვერდს.

ერთი პირველი პრემია-3000 მან.

ორი მეორე პრემია თვითეული-2000 მან.

ორი მესამე პრემია თვითეული-1000 მან.

საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი, სულხან-საბას ქ. № 15, ჟურნალ «საბჭოთა ქალის» რედაქცია, წარწერით «კონკურსისათვის».

კონკურსი დახურულია. მასალები იგზავნება დევიზით.

ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი უნდა გამოიგზავნოს ცალკე კონვერტით.

საუკეთესო მოთხრობების ავტორებს მიეცემათ დაწესებული პრემიები, ხოლო მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ—ჰონორარი ჩვეულებრივი წესით.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება «საბჭოთა ქალის» 1960 წლის ნომემბრის ნომერში.

მასალების წარმოდგენა შეიძლება 1 სექტემბრამდე.

ჟურნალ «საბჭოთა ქალის» რედაქცია.

კონკურსი

ß·30/13

ეროვნული ბიბლიოთეკა

